h 42.



ს.ს.რ. კავშ. მეგობ. კონგრესი ბერლინში. სურათზე: ამხ. 1. შუმან, 2. გერვარტ 3. ვილი, 4. ვლუმი. 5. გეიზენბერგი, 6. შტიუკგოლდ. 7. ტორნერ და 8. კრაუზ.

19 სექტემბერი

რემედასის
საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების
ყოველთვიური ორგანო

29 ტფილისი

ტერორი კაპიტალისტურ ქვეყნებში

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი: საფრანგეთის მთავრობამ გასცა განკარგულება, რათა შეპყრობილ იქნან საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრები 1 აგვისტოს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოწყობისათვის.

— ივლისის 24 პარიზში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების მონაწილეობით გაიმართა თათბირი, რომელმაც დაადგინა პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ყველა დაპატიმრებულები პირველ აგვისტოს დემონსტრაციის მოწყობისათვის, რომელიც მიმართული იყო „ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ“.

— სანტეში, სენ-ლაზარში და პტიტ-როკეტში მოქცეულმა პოლიტ-პატიმრებმა, რომლებსაც მხარი დაუჭირა 190 პოლიტ-პატიმარმა სიმშილობა გამოაცხადეს რეაქციის აღვირახსნილობის საპროტესტოდ.

ჩ. ა. შ. შ ტ ა ტ ე ბ ი: გასტონის მქსოველთა გასამართლება გადატანილია ქალ. შარლოტუში (ჩრდ. კაროლინის შტატი), ამასთან დაკავშირებით პროცესი გადაიდო 26 აგვისტოსათვის (შემდეგი გამოურკვეველია). 13 ბრალდებულს, მათ შორის ამხ. ფრედ ბილს სიკვდილით დასჯა ემუქრება.

— ჩინეთის საკონსულო შენობის წინ მოწყობილ დემონსტრაციის დროს ნიუ-იორკის პოლიციამ აამუშავა კომბლები და ცივი იარაღი, შეტაკების დროს მრავალი დაიჭრა.



25 სექტემბერს ქ. ბერლინში მოეწყო უდიდესი დემონსტრაცია კომპარტიის ხელმძღვანელობით. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 150 კაცი და გაგრძელდა 4 საათის განმავლობაში.

პ ო ლ ო ნ ე თ ი: პირველ აგვისტოს სამზადისთან დაკავშირებით მთელს პოლონეთში ჩატარებული იქნა მასიური დაპატიმრებები. მარტო ვარშავაში დააპატიმრეს 200-ზე მეტი, — ვილნოში 100, ლოძში — 150; ამავე დროს ასობით დააპატიმრეს მუშები ლიუბლინში, ლვოვსა და სხ. ქალაქებში.

ი ნ გ ლ ი ს ი: ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმის საპროტესტო დემონსტრაციის წინააღმდეგ გამოვიდა ცხენოსანი პოლიცია. ბევრია მძიმედ დაჭრილ-დასახიჩრებული და ნაცემი.

ჩ ე ხ ო-ს ლ ო ვ ა კ ი ა: პრაღის პოლიციამ მთელი რიგი თავდასხმები მოუწყო კომპარტიის ცეკას შენობას. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მშვიდობიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პასუხისგებაში მიცემულია 187 კომუნისტი.

პოლიციის განკარგულებით დახურულია ყველა ყოველდღიური და კვირეული ორგანოები.

ს ა მ ხ რ ე თ-ს ლ ა ვ ი ა: სამბორში პოლიციამ ერთ-ერთ სახლში აღმოაჩინა არალეგალური სტამბა. სახლში მყოფმა, ძმებმა ორეშკო და იანკო მიშიცმა იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციელებს, უკანსკნელებმა ორივე ძმები დახოცეს. ერთ-ერთი იმათთაგანის ცოლი მძიმედ დაიჭრა ამ შეტაკების დროს.

— კომპარტიის საპირველმაისო მოწოდებებების გავრცელებისათვის 5 მუშას მიესაჯა საკატორღო მუშაობა 2-5 წ. თითეულს. იმავე სასამართლომ მუშა მირკო ბუკოვაცსს მიუსაჯა 10 წ. იმისათვის, რომ მას გაჩხრეკის დროს სახლში აღმოჩნდა რამდენიმე, კომკავშირელი გაზეთი და სტამბის დაზგა.

— სარაევში გაფიცულ რკინისგზელთა და პოლიციის აგენტებს შორის ადგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებას. დაჭრილია ბევრი მუშა. გაფიცულთა სახელოსნოები გადამწვარია.

— ივლისის 31 იქვე დააპატიმრეს მიხეილ ბარუნი, რომლის ბინაში, პოლიციის მტკიცებით, იპოვეს რამდენიმე ათასი საპირველმაისო მოწოდებები. ბარუნი „დაკითხეს“ ამის შემდეგ პოლიციამ გაძლიერებული მცველების თანხლებით ის გადაგზავნა იმ ადგილას, სადაც აგენტების აზრით დამალული იყო საიდუმლო სტამბა.

გზაში პოლიციელებმა დახვრიტეს ბარუნი.

უ ნ გ რ ე თ ი: წითელ დღის მოწყობასთან დაკავშირებით პოლიციამ დაპატიმრებები ჩაატარა ბუდაპეშტსა და სხვა ქალაქებში. ბუდაპეშტში პოლიციამ მართლა აღმოაჩინა ფარული სტამბა და იქვე დააპატიმრა რამდენიმე მუშა.

363(∞)(05)
Ь 43.

წელიწადი მეექვსე

№ 9
სექტემბერი
1929

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17 42. ∞

რემედასის უჯრედების შემოწმება

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი მშრომელ გლეხობასთან ერთად უკვე შეუდგა სახალხო მეურნეობის გადახალისებას ახალ საფუძველზე. საბჭოთა ქვეყნის წარმატებაგანვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალ ფაბრიკა-ქარხნების აშენებას და სამეურნეო იარაღების დამზადებას.

ხუთწლიანი გეგმაში გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება ყოვლად წარმოუდგენელია მშრომელ მასების აქტივობის და ენერგიის გაძლიერების გარეშე. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ამ უდიდეს სოციალისტურ აღმშენებლობის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი მშრომელი, მუშა, გლეხი, მშრომელი ქალი და საბჭოთა მოქალაქე. სოციალისტური აღმშენებლობის ნაყოფიერი ერთი წელი ჩვენ უკვე გამოვიარეთ, მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის; ის უდიდესი ნაყოფი, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ ერთი წლის მუშაობით გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ენერგია მომავალში, რათა მახლობელ წლებში სრულიად უზრუნველვყოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება.

ამ უდიდესი ამოცანების ირგვლივ მობილიზაცია უნდა გაუკეთდეს მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას, რათა პარტიასა და პროფესიონალურ კავშირებთან ერთად ხორცი შევასხათ დასახულ ამოცანებს. საერთო ძალღონით ჩამოყალიბებული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომ ერთხელ და სამუდამოთ ძირფესვიანად აღმოფხვრილ იქნეს ჩვენს სოფელში კაპიტალიზმის ნაშთები.

რემედასის რიგებში გაერთიანებულმა მშრომელ მასებმა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ ამ ამოცანების გადაწყვეტაში. რემედასმა მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა აამოქმედოს თავისი აქტივი, რათა ამით გაუადვილოს პარტიას და ხელისუფლებას იმ უდიდესი აღმშენებლობის შესრულება, რომელიც გაძლიერებულის ტემპით მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში.

დასახული ამოცანების უზრუნველსაყოფად საჭიროა ჩვენი ძირითად უჯრედების მოქმედების გაცხოველება. ჩვენი მუშაობის ნაყოფიერება ბევრად დამოკიდებულია ძირითად უჯრედების გაჯანსაღებაზე. ჩვენ ვიცით, რომ უმრავლეს შემთხვევაში რემედასის ძირითადი უჯრედები ვერ იძლევიან სათანადოთ მომზადებულ აქტივთა კადრებს. ეს ნაკლი ჩვენს სინამდვილეში ძალიან საგრძნობია. აშკარაა, რომ ჩვენ დღემდის ვერ მოვახერხეთ რემედასის სოფლის ორგანიზაციების მუშაობაში ძირითადი გადახალისება და მათი მეტი ნაყოფიერება. ვერ შევსძელით მათი მუშაობის შინაარსისა და მოქმედების თვალსაჩინოდ გაუმჯობესება. ეს კი აუცილებელი პირობაა სოფლად რემედასის მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

ყველაფერი ეს ჩვენ გვავალებს გადავშინჯოთ ჩვენი ძირითად უჯრედების საქმიანობა და მათ ირგვლივ უფრო მჭიდროთ დავრაზმოთ მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

სწორედ ამ მიზნით უახლოეს მომავალში განზრახულია ჩვენი უჯრედების შემოწმება, რომლის დროს თვალსაჩინოდ გამორკვეული უნდა იქნეს მათი მუშაობის ნაყოფიერება, უნარიანობა, ნაკლი და მიღწევები.

ეს შემოწმება, რემედასის საკავშირო ცეკას მესამე პლენუმის დადგენილების თანახმად ჩატარებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის ნოემბერსა და დეკემბერში.

უჯრედთა მასიურ და ორგანიზაციულად დათვალიერებამ უნდა გამოაფხიზლოს რემედასის წევრთა მასა და თვითკრიტიკის საშუალებით გამოამჟღავნოს უარყოფითი მხარეები. დათვალიერებამ უნდა უზრუნველყოს რემედასში მთელი მშრომელი მასის მონაწილეობა.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმ დონეს. რომ რემედასის არც ერთი წევრი არ დავსტოვოთ მოვალეობის პირნათლად ასრულების გარეშე. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ მომავალი შემოწმება ერთი-ორად გამოაჯანსაღებს ჩვენს მუშაობას საერთოდ და უზრუნველყოფს მშრომელთა ინტერნაციონალურად აღზრდას ჩვენს ქვეყანაში.

რემედასის ყოველი უჯრედი, ბიურო თუ ორგანიზაცია, ვალდებულია წინასწარ დაისახოს ამ შემოწმების ჩასატარებლად სათანადო გეგმები. ყოველგვარი ღონისძიებანი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დათვალიერების ბრწყინვალედ ჩატარებას ფართედ უნდა იქნეს გაშუქებული მასების წინაშე. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს რემედასის, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოები.

ამ უდიდეს მუშაობაში ჩვენ აქტიურად უნდა ჩავაბათ კომკავშირის, პროფკავშირის, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელი უნდა დაუახლოვდეს რემედასს, რათა ღირსეულად შევასრულოთ მიმდინარე ამოცანები.

642.

პოლონეთის პროლეტარიატი ამართავს სამოქალაქო ომის დროშას

ასე იუწყებიან მოკოტოვის საპყრობილეში მოქცეული პოლიტ-პატიმრები, რომლებმაც პირველ აგვისტოს თავიანთ პროტესტის ხმა შეუერთეს საერთაშორისო პროლეტარიატის ხმას.

— „ძვირფასო ამხანაგებო, პოლკოვნიკების პოლონეთში გამეფებული ტეროორი, — იწერებიან ისინი, — ერთი წუთითაც ვერ მოაშორეს ჩვენს ყურადღებას საბჭოთა კავშირის მუშებისაგან. ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი საერთაშორისო რევოლიუციონურ მუშათა კლასთან ერთად მედგრად დაიცავს მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ სამშობლოს, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების უდიდეს კავშირს.

ამხ. სტანისლავ ლანცუცკი საქართველოში.

პოლონეთისა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატი აღფრთოვანებით ესალმებიან სოციალისტურ სახელმწიფოს განმტკიცება-განვითარებას, რომელიც უდიდესი მაგალითის მაჩვენებელია ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა კლასისა და რევოლიუციონური გლეხობისათვის.

იმპერიალისტური ქვეყნების ბანდები დღითი-დღე ცდილობენ ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირს, რათა დასცენ მისი პრესტიჟი საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე, მაგრამ ამ ცილისწამებას გასავალი არა აქვს პოლონეთის მუშათა მასებში, რომელიც თავისი მებაირახტრის, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის უშუალო ხელმძღვანელობით ფარდას ხდის ამ სიყალბეს, იმ მუშების წინაშე, რომლებისთვისაც ჯერ კიდევ ნათელი არაა საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევები.

ვიწრო სარკმლებიდან ჩვენ ფხიზელ თვალყურს ვადევნებთ ბურჟუაზიის მოქმედებას. ფაშისტი მინისტრი—ზალეჟსკი ეხლა მოგზაურობს მთელს ევროპის სამხრეთ ქვეყნებში ანტისაბჭოთა კავშირის შესაქმნელად და საიმედო ზურგის გასამაგრებლად. აქედან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მთავრობა აპატიმრებს და საპყრობილესაკენ აგზავნის ყველა იმათ, ვინც თავგანწირვით და შეუპოვრად ებრძვის ბურჟუაზიის მიერ დაკანონებულს ექსპლოატაციის სისტემას.

ესეც არ აკმაყოფილებს ჯალათ პოლკოვნიკებს: ისინი მებრძოლ მუშათა კლასს რიგებიდან აცლიან არა მარტო საუკეთესო მებრძოლ ამხანაგებს, არამედ ამ ამხანაგებისადმი მიმართავენ საშინელ რეპრესიებს, დამცირებებს და წამებას საპატიმროების ბნელ ჯურღმულებშიაც კი. ჩვენ ყოველდღე მოგვდის ცნობები ჩვენი საუკეთესო ამხანაგების დაღუპვის შესახებ, როგორიც არიან მაგალითად ამხ. ლაპონი, ენგელდერი და სხვა მრავალნი.

ჩვენ საწინააღმდეგოთ მიმართავენ მთელ რიგ რეპრესიულ ზომებს, რომლითაც ამცირებენ ჩვენ პიროვნებას, ამით ისინი იწვევენ ჩვენის მხრით სასტიკ პროტესტებს, რომელიც ხშირათ თავდება ხანგრძლივი სიმშილობის გამოცხადებით.

ყველაფერ ამას მაინც არ ვუშინდებით ჩვენ და მთელს ძალღონეს ვახმართ ჩვენი კულტურულ დონის აწევას. ანავე მიზნით ვხელმძღვანელობთ და ვეხმარებით უფრო ჩამორჩენილ ამხანაგებს. ჩვენი ცხოვრების პირობები არ უმჯობესდება, ნათესავებს კი არ შეუძლიათ სათანადო დახმარების აღმოჩენა.

მიუხედავად ამისა ჩვენ სასოწარკვეთილებაში არ ვვარდებით, ჩვენ ეს ტანჯვა-დამცირება უფრო გვამხნევებს და საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად ვემზადებით ფაშისტური ტეროორისა და მისი აღვირახსნილობის ასალაგმავათ.

პოლკოვნიკების პოლონეთი, რომელიც ერთგულად ატარებს იმპერიალისტური ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკას მთელ თავის შესაძლებლობას ახმარს იმას, რომ იერიში მიიტანოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გადამწყვეტი მომენტის დროს პოლონეთის პროლეტარიატი მთელი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად შესძახებს: „ძირს იმპერიალისტური ომი“! — და აღმართავს სამოქალაქო ომის დროშას, რომელსაც გაჰყვება საერთაშორისო პროლეტარიატი სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენად.

დ ა უ ვ ი წ ყ ა რ ი დ ღ ე

(საკოსა და ვანცეტის დასჯის წლისთავის შესრულების გამო)

მე ორთავეს კარგად ვიცნობდი. ისინი ძლიერ განსხვავდებოდენ ერთიმეორისაგან თავიანთი ხასიათებით. საკოს მეტისმეტად უყვარდა ყვავილები, ბუნება, ბავშები და განუწყვეტლივ ფიქრობდა, მზრუნველობდა თავის ოჯახზე.

მას არ შეეძლო ისე ნათლად და სხარტად მსჯელობა, როგორც ვანცეტის. ვინც ახლოს იცნობდა საკოს მისთვის ყოველად წარმოუდგენელი იყო, მისი საპყრობილეში მარტოდმარტო ყოფნა და ტანჯვა.

მისი ბრწყინვალე სიცოცხლეს ნათელ შუქს ჰფენს სიკვდილის წინ მის მიერ ვაჟიშვილისადმი მიწერილი წერილი. აი რას სწერს ის შვილს:

— ტირილისა და და მოთქმავიშის ნაცვლად ეცადე იყო ძლიერი, შეუპოვარი, იზრუნე დედაზე, მე გასწავლი შენ, თუ როგორ უნდა გადაავიწყო მას სევდა-ვარამი. წაიყვანე ის შორეულ სოფელში, სადაც გაშლილი მინდვრებია და სადაც ჰყვავიან ურიცხვი ფერადი ყვავილები. მუდამ გახსოვდეს დანტე: ეცადე ნაკლებათ იფიქრო საკუთარ თავზე, შენი ძალ-ღონე ყოველთვის უძლურთ მოახმარე, შესწირე იმათ ვისაც სჭირდება შენი დახმარება, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის, ვინც დაიხოცენ მისი მოსაპოებლად მსგავსათ ბართლომესა და მამაშენისა.

ბართლომეო ვანცეტი იყო მაგარი, რკინისებურ, გაუტეხელი და შეუპოვარი ადამიანი. როცა წამების წინ, უკანასკნელად მე შევხედე მას, სავსებით დავრწმუნდი, რომ ჩვენს კლასს შორდებოდა ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი. მან დაპატიმრების პირველ დღიდანვე იცოდა, რომ ბურჟუაზია სასტიკ შურს იძიებდა მათზე.

უკანასკნელ დღეებში ჩამოვიდა მისი და. ის სიმწრისაგან ერთობ განადგურებული იყო და თავი და ბოლო ვერ მიეცა იმ უაზრო განაჩენისათვის, რომელიც უკვე გამოტანილი იყო ბურჟუაზიული კლასობრივი სასამართლოს მიერ. ის ცდილობდა ხელისუფლებისაგან რაიმე შეწყნარების მიღწევას.

იმ დაუვიწყარ დღეს ჩვენ ყველანი თავზარდაცემულნი ვიყავით. არავის არ სჯეროდა, რომ განაჩენს მართლა მოიყვანდენ სისრულეში. ყოველი ჩვენთაგანი ირწმუნებოდა: „ისინი ვერ გაბედავენ, მოხსნიან განაჩენსო“...

ბოსტონში დილითვე თავი მოიყარეს საკოსა და ვანცეტის მეგობრებმა. იმათ უნდოდათ გუბერნატორის სახლის წინ დემონსტრაციის მოწყობა განაჩენის საპროტესტოდ. მათვე მიემხრენ ფაბრიკა-ქარხნებიდან მუშაობის დამთავრებამდე გამოსული მუშები. გუბერნატორის სახლის კარებთან დარაჯად დაეყენებიათ რამდენიმე ასეული კარგად შეიარაღებული პოლიციელები და ჯაშუშები, ერთი იმათგანი მომიახლოვდა მე, მუშტი ჰაერში შეატრიალა, შემომიტია და დამიყვირა:

— თქვენც აქა ხართ, არა? მე თქვენ კარგათ გიცნობთ. მინახვიხართ მე თქვენ გაფიცვების დროს მიჩიგანში, პენსელივანსა და სხვა ადგილებში.

საკოსა და ვაანცეტის ნათესავები ამ დროს შუამდგომლობდენ, შებრალებას სთხოვდენ გუბერნატორსა და მის ცოლს. „სცენიკ ჰოლის“ ორს, დიდ დარბაზში, რომელიც ვერ იტევდა წამების დროს დამსწრეებს. გაემართათ მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო „სიცოცხლის უკანასკნელი წუთებისადმი“. აქ ამბობდენ დაუსრულებელ სიტყვებს, რომელშიაც ნათლად მოისმოდა განწირულებისადმი სიბრალული და მუშათა კლასის გამარჯვების იმედები.

პოეტმა ქალმა — ლ ო ლ ა რ ი ჯ მ ა წაიკითხა რევოლიუციის შესახებ ერთ თავისი შესანიშნავი პოემა. ძველი რევოლიუციონერები და ახალგაზრდები ამბობდენ უდიდესი ბრძოლების შესახებ. დამსწრეთა შორის იყვენ ბევრი ახალგაზრდა მწერლები: ჯ ო ნ-დ ო ს-პ ა ს ო ს ი, მ ა ი კ ჰ ო ლ დ, ჯ ო ნ ლ ა უ ს ო ნ ს, ა რ ტ შ ი ლ დ ე და სხვა მრავალნი.

ქუჩაში დარჩენილი ხალხი მოითხოვდა ჩემს გამოსვლასაც.

გამოვჩნდი თუ არა სარკმელთან ხალხმა დასჭექა „ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი“. მე არ დამაცალეს დიდხანს ლაპარაკი, მყისვე მომვარდა ორი პოლიციელი და ძირს ჩამომიყვანეს.

— ხელი არ ახლოთ ბლუურს, — ყვიროდენ მუშები. — გაანთავისუფლეთ ეხლავე.

ყველანი უკან გამომყვენ მე პოლიციის უბნამდე, სადაც მე მიმიყვანეს და ოქმი შემიდგინეს, როგორც „აჯანყების“ წამომწყებს. ამის შემდეგ მე გამანთავისუფლეს. ამასობაში მიტინგიც გაეფანტათ. ამხანაგების დიდი უმრავლესობა საპატიმროსაკენ გაეშურა. აქაც პოლიცია დაერია მათ, სადაც რამდენიმე მოკვდა და მრავალი დაიჭრა.

ჩქარა გამოვიდა ცნობა, სადაც იუწყებოდენ, რომ განაჩენი უკვე სისრულეში მოეყვანათ. შეუძლებელია იმის აწერა და გადმოცემა, თუ როგორის მღელვარებით შეხვდა ამ ამბავს მთელი ბოსტონის მუშათა კლასი.

მთელი კვირის განმავლობაში მუშები ეთხოვებოდენ საკოსა და ვანცეტის ცხედარს. კვირა დღით 150 ათასმა

საკო და ვანცეტი.

მუშამ მიაცილა ისინი კრემატორიუმამდე. ფეხოსანი და ცხენოსანი პოლიციელები დაერივნენ დემონსტრანტებს და ფეხებით გაიტანეს დიდი და პატარა მიუხედავად ასეთი სასტიკი ზომებისა ხალხმა ისინი გააცილა 8 კილომეტრის მანძილზე.

მეორე დღეს შრომის საერთაშორისო დაცვამ მოაწყო გრანდიოზული მიტინგი ნიუიორკში. მუშათა უდიდესმა რიგებმა მწყობრად ჩაიარეს საკოს ცოლის წინ „ინტერნაციონალის" ძლიერი გუგუნით.

ელლა რივ ბლუერ.

აპრილში მომხდარ აფეთქების შემდეგ

(ბულგარელ კომკავშირელის მოგონებიდან)

ეს იყო ბულგარეთის რევოლიუციონური მოძრაობის მეტად მძიმე დღეებში, რომელშიაც აქტიურად ჩაბმული იყო ბულგარეთის კომკავშირი. მასიურ მკვლელობებს, რომლებიც შედეგად მოჰყვა სოფიაში მომხდარ აფეთქებას, საზღვარი არ უჩნდა.

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ცნობილი გერმანელი რევოლიუციონერი ამხ. მ ა ქ ს ჰ ე ლ ც ი.

სურათზე: ამხ. ჰ ე ლ ც ი მოხსენებას აკეთებს ლენინგრადში არსებული მისი სახელობის ქარხნის მუშებთან.

პოლიციელთა დაუნდობელი დევნისაგან თავმობეზრებულნი ჩვენ ვიმალებოდით და შეფარებულნი ვიყავით ყველგან — ტყე-ღრეებში, მინდვრად, სოფლებში, დაუმთავრებელ სახელებსა და ნაცნობ-მეგობრებში. სოფლიდან წასვლა შეუძლებელი იყო; ხელმძღვანელობის გარეშე ვერ დავსტოვებდით ორგანიზაციას.

1925 წ. ივნისის პირველს, საღამო ჟამზე ჩვენთან მოვიდა ერთი ამხანაგი, რათა იმ ღამითვე ეშოვნა სადმე ჩემთვის ღამის გასათევი ადგილი. ის აღმოჩნდა ჩემი ძველი ახლობელი ნაცნობი, რომელიც ლეგალობის დროს ითვლებოდა კომკავშირის ერთ-ერთ აქტიურ ხელმძღვანელად. მთელი ღამე მშვიდად და უზრუნველად გვეძინა. ადრიან დილით, როცა ჩვენ უკვე მოვემზადეთ წასასვლელად წავაწყდით თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ პოლიციელებსა და ფაშიტურ ბანდებს. ისინი ოფიცრების თანხლებით გამოვიდენ მახლობელ სახლიდან და იქვე მეორე სახლში შევიდენ გასაჩხრეკად. ჩვენ, სასწრაფოდ, ისევ შინ შემოვბრუნდით. ჩვენთან მოირბინა ოჯახის დიასახლისმა, ის ისე შეშინებული ყო, რომ პირში ენას ვერ ბრუნებდა. აკანკალებული ხმით დაგვიწყო ვედრება:

— წადით, ჩქარა წადით აქედან. ისინი მოვლენ საცაა და თქვენ, რომ დაგინახონ, ცეცხლს წაუკიდებენ ჩვენს სახლ-კარს, დაგვაპატიმრებენ, დაგვხოცავენ.

მე თან მქონდა ყალბი პირადობის მოწმობა. ამოვიღე და ვუჩვენე ქალს. რათა დამემშვიდებია ცოტათი მაინც. დიასახლისს ვეუბნები დამშვიდებით:

— მე გუშინ საღამოს ჩამოვედი აქ ღამის გასათევათ. მე საშიში კაცი არა ვარ. ტყვილა გულს ნუ იხეთქავთ, ნუ გეშინიათ. არაფერი არ იქნება.

მაგრამ ამაოთ, ხუმრობა ხომ არ იყო მისი დაშოშმინება.

თუ თქვენ ეხლავე არ გამეცლებით აქედან — იძულებული ვიქნები დარაჯს დავუძახო. არაფერი ეშველა შეშნებულ დიასახლისს. მოფიქრების საშუალებასაც არ იძლეოდა, რომ უხიფათოდ გავსულიყავ სახლიდან. — კარგი, კარგი ეხლავე გეახლებით, ოღონდ თქვენ ნუ ღელავთ, დამშვიდდით.

20 თუ 30 ნაბიჯზე, იქვე ცხოვრობდა ერთი ჩემი ამხანაგი, ის მძიმე ავადმყოფი ლოგინად იყო ჩავარდნილი. იმასთან გადაველი. სახლის მახლობლად ორი ცხენოსანი ჟანდარმი შემეფეთა, ისინი საშინლად ღრიალებდენ:

— გადადით ქუჩიდან, თორემ გესვრით!..

შეუხვიე იმ სახლის ეზოსაკენ, სადაც ჩემი ამხანაგი ცხოვრობდა. ჩემს დანახვაზე ყველან სახტად დარჩენ (ოჯახში არც ერთი კომუნისტი არ იყო), შეშფოთდენ, არ იცოდენ რა ექნათ.

— გესმის ს..., — მივუბრუნდი ჩემს ამხანაგს. — იცი ჩემი მდგომარეობა? არ შეიძლება, რომ სადმე თქვენთან დავიმალო?

ჩემი ამხანაგი შეიშმუშნა, დეიმანჭა და ირგვლივ მსხდომთ გადახედა.

— მე შენს გვერდით დავწვები. ზედ საბანს გადამახურავ, არაფერი არ გამოჩნდება. შენს ლოგინში ხომ არ დაიწყებენ ძებნას მეთქი, ვეუბნები ჩემს მეგობარს... თუ კი მართლაც იქამდისაც გაკადიერდენ... — მე ამოვიღე და ვუჩვენე რევოლვერი... ამხ. ს... დედა ფეხებში ჩამივარდა და დამიწყო ვედრება, მსთხოვდა საჩქაროდ წავსულიყავი. მთელი გეგმა ჩაიფუშა. კიდევ რამდენიმე ხანი ვემუდარე მათ, არაფერი გამივიდა და ისევ ქუჩაში ამოვყავი თავი. სხვა რაღა დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ ისევ უკან დავ-

ბრუნებულიყავი იმ სახლში, საცა წინა ღამით მეძინა. მინდოდა ისე შევპარულიყავი, რომ დიასახლისს არ შევენიშნე. მაგრამ, ის თითქოს მიდარეჯებდაო, ისე შემომვარდა ოთახში საშინლად აღრენილი და გაანჩხლებული:

— თქვენ ისევ აქა ხართ, თქვენ გინდათ დამყუპოთ, არა? წადით აქედან, თორემ ეხლავე ქუჩის დარაჯს დაუძახებ.

დიასახლისს თან მამასახლისიც შემოჰყვა და მე ხმის ამოუღებლივ ქუჩისაკენ გამისტუმრეს. ეზოში ვიდექი რამდენიმე წუთის განმავლობაში, ისევ გამოვერკვიე. საჩქაროდ ქუჩაში გამოველი და პირდაპირ დარაჯისაკენ გავემართე. ესენი იყვენ ორი ფაშისტი — სტუდენტები.

მათ ცნობისმოყვარე თვალებით ამათვალიერეს. ეტყობოდათ ჩემი ესოდენი სიმშვიდე და ის ფაქტი, რომ მე ნებაყოფლობით ვვარდებოდი მათ ხელში — ძალიან აოცებდათ. ველარ წარმოედგინათ იმ წუთს, თუ მათ წინაშე იდგა კაცი, რომელსაც გაფაციცებით ეძებდენ პოლიციის აგენტები.

— წავიდეთ რაიონში.

წავიდეთ. გზაში ჩვეულებრივი საუბარი ჩამოვაგდეთ. ვისაუბრეთ ჭირნახულის, პროვინციაში სულერ განწყობილებისა და სხ. შესახებ. მე ტვინს მიღრნიდა ის აზრი, რომ რაიონში ვინმე მიცნობდა და ჩემი საქმე ერთხელ და სამუდამოდ მორჩებოდა...

რაიონი დაცარიელებული დამხვდა, ყველანი გასაჩხრეკად წასულიყვენ. მორიგე ოფიცერმა რამდენიმე შეკითხვა მომცა და საჩქაროდ გადაჰხედა ჩემს პირადობის მოწმობებს. მაგრამ ჩემმა დამშვიდებულმა სახის გამომეტყველებამ და იმ გარემოებამ, რომ მე ჩემი სურვილით გამოვცხადდი — ეჭვში ჩააგდო ის.

— ჩავსწეროთ და თუ საჭირო იქნება ხვალ ისევ გამოვიძახოთ, — სთქვა ჩემმა გამომყოლმა.

უფროსი ოტათი შეყოყმანდა, მაგრამ ჩამწერეს, მომცეს „პროპუსკი" და გამომისტუმრეს.

უკანასკნელ ხანებში ვარშავაში პოლიციამ ჩაატარა მასიური დაპატიმრებები. სურათზე — მიჰყავთ ქუჩებში შეპყრობილები.

ყველაფერი ეს გაგრძელდა დაახლოვებით ნახევარი საათი. ჩვენ სამივენი ერთად გომავედით რაიონის სადგომიდან და მიმაცილეს იმ სახლამდე, საიდანაც პირველად გამოველი ქუჩაში, როცა ასეთ ხალხში დამინახა დიასახლისმა, უცბად ფერი ეცვალა, სრულიად გადასხვაფერდა და ბოდიშის მოხდა დაიწყო.

მე საჩქაროდ დავემშვიდობე ახლად გაცნობილებს და ჩემი ამხანაგის ოთახში შეველი. ჩემი ახმანაგი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, როცა მე დამინახა ცოცხალი და დამშვიდებული.

მეორე დილით, განთიადისას ქ. სოფიის ყველა ქუჩებზე, ქვის გალავნები აჭრელებული იყო კომკავშირის მოწოდებით, რომელიც მოთხოვდა სასტიკსა და შეუბრალებელ ბრძოლის წარმოებას ჯალათ ცანკოვის სისხლიანი თარეშის წინააღმდეგ.

ოგნიანოვი.

საერთაშორისო ომის შედეგები

თუთხმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ბურჟუაზიამ დაანთო მსოფლიო ომის ქარცეცხლი და აამოქმედა მილიტარიზმის ჯოჯოხეთური მანქანები.

1914 წ. აგვისტოს პირველს დაიწყო კაცობრიობისათვის დღემდე უცნობი და გაუგონარი სასაკლაო.

ეს სამხედრო კატასტროფა, რომელმაც მთელი სამყარო განადგურებამდე მიიყვანა, რამდენიმე ათეული წლობით ადრე მზადდებოდა. პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი გრძნობდა ამ საბედისწერო მომენტის მოახლოვებას და ის აფრთხილებდა მშრომელ მასებს. ამ მოსალოდნელ სისხლის ღვრის აკრძალვა, მისი შეჩერება და საერთოდ ომის საშიშროების თავიდან აცილება შეეძლო მხოლოდ რევოლიუციონურ მოძრაობის გაჩაღებას, მხოლოდ მშრომელთა მილიონების ამხედრებას მილიტარიზმის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა სოციალისტური პარტიების დიდი უმრავლესობა, არა თუ გაილაშქრა ამ საშინელი სისხლის ღვრის წინააღმდეგ, პირიქით ისინი მოუწოდებდენ მშრომელ მასებს ამ ომში მონაწილეობის მისაღებად და ხელს უწყობდენ მის ჩქარა მოახლოვებას. ისინი ამ ომს სამართლიანად სთვლიდენ.

მხოლოდ სოციალისტებთან შეთანხმებით და მათი უშუალო მონაწილეობის მეოხებით შესძლო ბურჟუაზიამ ასე ხანგრძლივად ამ ომის წარმოება.

ამრიგად სოციალ-პატრიოტების მილიტარისტებთან შეთანხმების წყალობით კაცობრიობამ დაჰკარგა ათეული მილიონები და დაასახიჩრა კიდევ ამდენივე.

ჩვენ აქვე მოგვყავს სწორი და უტყუარი ცნობები ამ საბედისწერო ომის შედეგების შესახებ, რომელიც ყოველ მუშას, გლეხს და პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს

აღუძრავს უდიდეს მტრობას და სიძულვილს ამ ომის წამომწყებთა მიმართ.

წარმოებიდან, შრომას ჩამოშორებული იქნა 70 მილიონამდე მუშა ხელი.

ეს 70 მილიონი, სახელმწიფოების მიხედვად შემდეგნაირად იყოფა:

სახელმწიფოთა დასახელება	ჯარში გაწვეულთა რაოდენობა	ჯარის რაოდენობა
რუსეთი	18000000	6700000
საფრანგეთი	8407000	3781000
დიდი ბრიტანეთი . . ,	8654467	5336943
ბელგია	50000	175000
ჩრ. ა. შ. შტატები . . .	378000	3500000
იტალია	5000000	850000
რუმინეთი	800000	350000
სერბია და ჩერნოგორია . .	800000	350000
საბერძნეთი	200000	—
პორტუგალია	40000	—
იაპონია	30000	—
სულ ანტანტის ქვეყნყებაში .	46211467	21042943
გერმანია	11000000	4940000
ავსტრო-უნგრეთი	9000000	2460000
ბულგარეთი	600000	25000
ოსმალეთი	2850000	25000
სულ ცენტრ. სახელმ. . .	2345000	790000
ყველა ომში მონაწილე სახელმ. გაწვეული იყო .	69661467	28942943

ჯარების რაოდენობა ომის წარმოების ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს მიერ ნაჩვენებია საშუალო ღა ფრონტებზე მყოფი ჯარისკაცთა მთელი ფაქტიური შემადგენლობის მიხედვით.



უდიდესი გიდროპლანი მსოფლიოში. ამ გიდროპლანისათვის ქარხანა „დორნიე"-ში გაკეთებულია სურათზე ნაჩვენები 12 მოტორი, რომელსაც აქვს 6.200 ცხენის ძალა. ახალ საჰაერო გიგანტს აქვს 3 ბაქანი და იტევს 100 მგზავრს 12 მოსამსახურეს გარეშე.

დაღუპულთა რაოდენობა:

სახელმწიფოები	მოკლულნი	დაჭრილნი	ვარდნილნი ტყვედ ჩატყვევ	საერთო დანაკლისი	% %
რუსეთი	3000000	5700000	2550000	11250000	61
საფრანგეთი . .	1368535	2800000	504000	4672535	56
დიდი ბრიტანეთი	689246	2035965	—	2725211	38
ბელგია	100000	150000	70000	320000	64
ჩრ. ა. შ. შტატები	75000	73000	—	148000	—
იტალია	500000	800000	5000000	1800000	36
რუმინეთი . . .	100000	200000	240000	540000	67
სერბია და ჩერნოგორია	40000	152000	200000	392000	49
საბერძნეთი . . .	4000	10000	16000	30000	15
პორტუგალია . . .	3000	7000	10000	20000	50
იაპონია	1000	1000	—	2000	—
ს უ ლ .	5880781	11755960	4090000	21899746	—
გერმანია	1980000	4510000	1000000	7490000	68
ავსტრო-უნგრეთი .	1440000	1980000	1800000	52200000	58
ბულგარეთი . . .	96000	198000	150000	440000	74
ოსმალეთი	550000	891360	479640	1921000	62
ს უ ლ .	40660000	7579360	429640	15071000	—

სიმდიდრეთა დაკლება.

გერმანიის სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, თუ რამდენად დაიკლო ომიანობის დროის განმავლობაში ცალკე სახელმწიფოების სიმდიდრემ.

სახელმწიფოები	სახელმწიფოების ქონების რაოდენობა 1914 წ.	იგივე 1919 წ.	ქონების დაკლება
	მილიონ ოქროს მარკებში		
1. ანტანტის სახელმწიფოები			
რუსეთი	250	100	150
საფრანგეთი	260	180	80
დიდი ბრიტანეთი	325	275	50
ჩრ. ა. შ. შტატები	850	1200	სიმდიდრის რაოდენობის გაძლიერება 350 მილიონ ოქრ. მარკით
იტალია	100	80	
2. ცენტრალური სახელმწიფოები			
გერმანია	375	250	125
ავსტრო-უნგრეთი . . .	170	100	70
ს უ ლ . .	—	—	495

როგორც ვხედავთ ეს საზღაპრო ციფრებია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ისინი განმარტებას მაინც თხოულობენ, სახელდობრ, ამ ციფრებს უნდა მიემატოს პენსიების გაცემის რაოდენობა ინვალიდებსა და დასახიჩრებულებზე. 1919 წ. მარტო საფრანგეთში მოითხოვეს დასახიჩრებულთათვის ხელის 19,000 პროტეზი, ხოლო ფეხის—24,900. თუ ჩვენ ყველა მეომარ სახელმწიფოების დასახიჩრებულთა რაოდენობას გადავხედავთ დავინახავთ, რომ 150000 კაცს არა აქვს ცალი ხელი, ხოლო 200000 კი—ცალი ფეხი.

ყველა ამათთაგანს ხომ ჰქონდა ოჯახი, საკუთარი კერა? დღეს კი რა საქმის კეთება შეუძლიათ მათ, რით უნდა ირჩინონ თავი? რამდენი მათთაგანი დღესაც დაეხეტება ულუკმაპუროდ ქუჩა-ქუჩა და დაეძებს სარჩოს ბურჟუაზიულ ქვეყნების ქალაქებში? ვინ იცის, ვინ მოსთვლის?

მართლაც და ეს ციფრები იმდენად ურიცხვია, რომ ყოვლად შეუძლებელია სწორი რაოდენობის გამოანგარიშება და ნათელი სურათის აღდგენა.

10 მილიონს აღემატება მოკლულ ახალგაზრდობის რაოდენობა. ეს რაოდენობა დაახლოებით უდრის საფრანგეთში მცხოვრებ შრომის უნარიან მამაკაცთა რაოდენობას. ეს აღემატება ამავე დროს ლონდონის, ბერლინისა და პარიზის მცხოვრებთა რაოდენობას, ის აღემატება ამავე დროს მოსკოვის მცხოვრებლებს ოთხჯერ გამრავლებულს.

საერთაშორისო ომში დაღუპულთა გვამები, რომ რიგზე დავასაფლავოთ რამოდენიმე ასეულ კილომეტრის მანძილსე გადაიჭიმებოდა სასაფლაოს სივრცე.

ფრანგულ წყაროების თანახმად მსუბუქად დაჭრილთა რაოდენობა უდრიდა 30000 კაცს, იმავე წყაროების ცნობით დაბრმავებულთა და თავის ქალა ჩამტვრეულთა რაოდენობაც რამოდენიმე ათეულ ათას აღემატებოდა. ცხადია ეს ცნობა შეუძლებელია სისწორით იყოს წარმოდგენილი, ვინაიდან მისი გამოანგარიშება ძალზე ძნელია.

ყველა ამ დანაკლისებს, დაღუპვას, დასახიჩრებას და სხვა სახით მიყენებულ ზარალს უნდა დაემატოს ის ზარალიც, რომელიც ომმა მიაყენა მეურნეობაში ჩაბმულ მოსახლეობას და რომელსაც აქტიური მონაწილეობა არ მიუღია მასში. ასეთად შეიძლება დავასახელოთ—ადამიანთა რაოდენობის დანაკლასი, რაც შედეგად მოჰყვა დაბადების შემცირებას, სიკვდილიანობის გახშირებას, ეპიდემიას, ფრონტების მახლობლად მდებარე ადგილებში მეურნეობის საგრძნობლად შემცირებას და სხვ. დაახლოებითი ანგარიშით ამ მშვიდობიან მცხოვრებთა ზარალი ავსტრო-უნგრეთში უდრის—11%; ოსმალეთში—9,6%; გერმანიაში—9,3%; რუსეთში—9%.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მშვიდობიან მოსახლეობისადმი მიყენებული ზარალი უდრის სულ 0,4%, ეს იმიტომ, რომ ამერიკა სრულიად დაშორებული იყო მსოფლიო ომის ასპარეზს. მარტო საფრანგეთში ომის განმავლობაში დარბეულ იქნა 594000 საბინაო სახლი, 20000 ფაბრიკა-ქარხნები, 5000 კილომეტრი რკინის გზის ლიანდაგი.

ცხადია, ჩვენს მიერ აქ მოყვანილი ცნობები სავსებით ვერ ამ წურავს საერთაშორისო ომის საშინელებას. ომმა დაუნდობლად გაანადგურა და გაატიალა კაცობრიობის მიერ ათეულ წლობით შექმნილი სიმდიდრე, საუნჯენი და უთვალავ ადამიანთა სიცოცხლე.

ასეთ საბედისწერო ომს ამზადებს ხელმეორედ მსოფლიო ბურჟუაზია ჩვენი, სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ახალი ომის საფრთხე დღითი-დღე უფრო ნათელი და რეალური ხდება.

ომის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტები, ზიზღი და კრულვა მის ორგანიზატორებს, ბრძოლა იმპერიალიზმის დასამხობად, ს. ს. რ. კ. დაცვა თავდასხმებისგან—აი ის დიადი ლოზუნგები, რომელიც გადმოისროლა მიმდინარე წლის აგვისტოს პირველს საერთაშორისო მუშათა კლასმა კომინტერნის ხელმძღვანელობით.

ა. შ.

აი როგორ საშუალებით ებრძვის ბურჟუაზია თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

დილით ადრე, მოხუცი დამცველის, ჟორჟ მეიჰერის ბინის შესავალ კარებთან ვიღაცამ მაგრად ჩამოჰკრა ზარას.. ზარამ ისე ჩქარა გაიწკარიალა, აშკარად ეტყობოდა, ახლად მოსული მეტად აღელვებული უნდა ყოფილიყო.

ჭალარამორეული, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე მეიჰერი ჩვეულებისამებრ თავის კაბინეთში სამწერლო მაგიდასთან იჯდა. მას კარგად იცნობდენ მუშათა ფართე მასები, ის ყოველთვის მცოდნე და გამოცდილი მრჩეველის როლს ასრულებდა, როცა რაიმე ხიფათი მოელოდა მუშათა ფარულ ორგანიზაციების აქტიურ ხელმძღვანელებს. ხშირად მეიჰერი სასამართლოს პროცესებზე გამოდიოდა და თავგამოდებით იცავდა ბურჟუაზიულ საზოგადოების მშვიდობიან ცხოვრების „მყუდროების დამრღვევ“ მუშა-რევოლიუციონერებს.

სწორეთ იმ დროს, როცა ზარმა დარეკა მეიჰერი ემზადებოდა ერთ ასეთ რთულ პროცესში გამოსასვლელად, რომელიც მას დავალებული ჰქონდა რემედასის არალეგალური სექციისაგან.

— ნეტავ ვინ უნდა იყოს, რომ ასე ადრე მეწვია და ასე მოუთმენლად რეკს? — გაიფიქრა მან. ამ დროს სამუშაო მაგიდის მოპირდაპირე კარები გაიღო და შემოვიდა მისი ცოლი რაია.

— ჩემო კარგო, კარებთან ვიღაც ახალგაზრდა ქალი სდგას, შენი ნახვა უნდა. ეტყობა ძალზე აღელვებულია, ალბათ სასწრაფო საქმე ექნება.

პალესტინაში მომხდარი ამბებისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიმდინარე წლის სექტემბრის პირველს კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტთან არსებულ ნაციონალურ უმცირესობათა განყოფილებაში მოწვეულ იქნა მიტინგი პალესტინაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. სურათზე: უსმენენ ამხ. პეტროვსკის მოხსენებას.

— შემოუშვი, რას მეკითხები. — რაიამ ისევ გაიხურა კარები. დერეფანში გავიდა და შემოიპატიჟა შინ უცნობი ქალი.

ორიოდე წუთის შემდეგ მეიჰერის წინ იდგა შავებში გამოწყობილი, ვიღაც სრულიად უცნობ ქალი.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — შეკითხა მეიჰერი ახლად მოსულს. და ცნობისმოყვარე თვალები მიაპყრო ახალგაზრდა ქალს, რომლისაგან ის ელოდა ახალ ამბავს.

— მაპატიეთ მოქალაქე მეიჰერ, მე თქვენ პირადათ არ გიცნობთ, მაგრამ ასე ადრიან დილით თქვენთან მოსვლა გამაბედვინა თქვენმა კეთილმა ადამიანობამ, რომლის შესახებ მე ბევრი რამ მსმენია მარკოსაგან.—ამ სიტყვებზე ქალმა აცახცახებული ხელით ერთის აკვრით აიხადა შავი მანდილი და ისევ განაგრძო დაწყებული საუბარი:

— მე თქვენთან გამომგზავნა მიცვალებულმა... — ქალის დიდრონი თვალები სასოწარკვეთილების ცეცხლში ჩაიფერფლა...

გაოცებული მეიჰერი პირსპირ იდგა ქალის წინაშე და სიტყვის ამოღება ვერ მოეხერხებია... თუმცა მარკოს სახელის ხსენებაზე ის მიხვდა, რომ საქმე ცუდათ იყო ვინაიდან ბრალდებულ მარკოს სიკვდილით დასჯის განაჩენი დასამტკიცებლათ უკვე წინა დღით ჰქონდა გადაგზავნილი ოლქში დაბანაკებულ დამსჯელ ჯარის უფროსს... მეიჰერი ღრმა ფიქრებში შეიჭრა და ის ეხლა არაფერს არ გრძნობდა, უაზრო, გაშეშებული თვალებით შესცქეროდა საცოდავ ქალს...

— დამერწმუნეთ, — მყუდროება დაარღვია ქალმა, — მე მხოლოდ იმისი უკანასკნელი სურვილისა და გულის ნადების ამსრულებელი ვარ... სწორეთ ხუთ საათზე... დაჰკრა თუ არა საათმა ხუთი — მოისპო ადამიანის სიცოცხლე, შეუპოვარი მებრძოლის გულის ძგერა მინელდა... იმ გულის, რომელმაც არ იცოდა, შიში ძრწოლა და უკან დახევა.

უცნაური სტუმრის წინაშე კვლავ გაშეშებული იდგა მოხუცი მეიჰერი... მას უნდოდა ეთქვა რაღაც სანუგეშო, საიმედო მაგრამ ყელზე მობჯენილი გული არ აძლევდა ამის შესაძლებლობას... ასეთი დუმილი დიდხანს გასტანდა, რომ ისევ ქალს არ დაერღვია მყუდროება...

— იმედი მაქვს, სულ მცირედ დროს არ დაიშურებთ, მოუსმინეთ მარკოს, — წაილუღლუღა ცრემლმორეულმა ქალმა და ისევ დააშტერდა მეიჰერის გაშეშებულ სახეს...

მეიჰერი გამოერკვა... ანაზდად ის სრულიად გამოფხიზლდა, გონება მოიკრიბა, ქალს რომელიც ამდენ ხან ფეხზე იდგა, სკამი შესთავაზა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა... მეიჰერისათვის ეხლა უკვე სუყველაფერი ნათელი იყო. ის მიხვდა, რომ რუმინელმა ჯალათებმა მოსპეს კიდევ ერთი შეუპოვარი მებრძოლი, მუშათა განთავისუფლებისათვის თავგანწირული ახალგაზრდა რევოლიუციონერი მარკო...

ქალის სახემ ცივ-სამარის გამომეტყველება მიიღო...

— გუშინ დილით, — განაგრძო ქალმა, — საათის ხუთზე ქალაქის გარეუბანში თქვენი კლიენტი — მარკო, ჩამოახრჩვეს მთავრობის ჯალათებმა... შური იძიეს... შური... ბურჟუაზიის ერთგულმა ვიგინდარებმა... მარკო უკვე აღარ არის... — ამ სიტყვებზე მეიჰერი თლათ მოიკაკვა, სახე დაემაანჭა, თვლები ცრემლით აევსო და უნებლიეთ წვერზე აათამაშა ნერვიული თითები...

— ჩამოახრჩვეს, განა,—საბრალო ჭაბუკო.. შედარებელო მებრძოლო... წმინდათა-წმინდა ადამიანო... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოისროლა მეიჰერმა...

ქალმა ისევ აკანკალებული ხელით გაუწოდა მას ბარათი და თან დასძინა:

— მარკოს მეგობრებმა გადმომცეს მისი ჩამოხრჩობის შემდეგ... მეორე დღეს... საპყრობილეში დაუწერია... ბარათი თქვენს სახელზეა...

მეიჰერმა საჩქაროთ გამოართვა ჩალათა, ნერვიულად გახია, გადაშალა ფურცელი ქაღალდი და დაეწაფა კითხვას:

— „საყვარელო ადამიანო... ძვირფასო მეგობარო მეიჰერ... ამ ბარათს ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ ღამეს ვწერ... თქვენი იმედი არ გამართლდა... ჩემი სიკვდილით დასჯის განაჩენი უკვე დამტკიცებულია... ერთ-ერთ ჩემი ჯალათ და საპყრობილის „გულშემატკივარ“ დარაჯისაგან გავიგე, რომ ეს განაჩენი ხვალ დილით სისრულეში იქნება მოყვანილი... ჩემს წმინდა რევოლიუციონურ მოვალეობათ ვსთვლი ჩემი უკანასკნელი კომუნისტური სალამი მოგიძღვნა შენ და იმ არალეგალურ მუშურ ორგანიზაციას, რომლის დავალებითაც შენ ეგრე თავგამოდებით ცდილობდი კლასობრივი იუსტიციის მიერ წამოყენებულ „ბრალდებების“ გაბათილებას და ჩემს დახსნას... თქვენთან მოკლე ხნით ხაცნობობამ დამარწმუნა, რომ თქვენ ჩემებრ მებრძოლთათვის არა მარტო პროფესიონალური ვექილი ხართ... მე დავრწმუნდი თქვენ დიდბუნებროვანი და უდიდესი კაცთმოყვარე ადამიანი ხართ, გესმით მთელი ტრაღედია შრომისა და კაპიტალის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებისა და მსხვერპლთა დაცვის დროს თქვენ გამოქმედებთ არა მატერიალური გამორჩენა, არამედ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ძიება, რომელსაც ეგრე ებრძვის მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებრივობა.....

დაპატიმრებები ვარშავაში. ბინების გაჩხრეკა.

მხურვალე გულით მე თქვენ უანგარო მეგობრობა გამიწიეთ, მაგრამ თქვენმა ცდამ ამაოთ ჩაიარა... თქვენმა ცოდნამ, გამოცდილებამ და მჭერმეტყველებამ ვერ სძლია რუმინელ ჯალათების მიერ დაკანონებული თეთრი ტეროორის კლასობრივი იუსტიციის აღვირახსნილობა....

წარმოიდგინეთ, ზიხართ მარტოდ-მარტო ცივსა და ნესტიან საკანში, ოთხკედელთა შუა... თავს გრძნობ ცოცხლად დამარხულად, თანაც შენი გრძნობა-გონება შეპყრობილია იმ საშინელი, გარდაუვალი რწმენით, რომ რამდენიმე საათის შემდეგ ჯალათთა ბინძურმა ხელმა ბოლო უნდა მოგიღოს... უნდა მოგსპოს, გაგატიალოს... შენ კი უძლური ხარ... უძლურნი არიან თავისუფლებაში დარჩენილი ნაცნობ-მეგობრებიც, რომელთა გულის ცემა ყოველთვის და განუყრელად შენთან არის...

გული ჰფეთქს... ტვინი მუშაობს... ათასგვარ მწარე ფიქრებში ხარ გართული... გრძნობ, თუ ასეთმა ყოფამ დიდხანს გასტანა შეირყევი კიდეც, ჭკუასაც დაჰკარგავ... და, აი — ასეთ საშინელ წუთებში გამიელვა ფიქრმა, მელონა რაიმე ამ ჯოჯოხეთურ პირობებისაგან თავის დასახსენდ... გამახსენდით თქვენ, ვსტაცე ხელი კალამს, და სისხლის მელნით ავლბეჭდე ამ ფურცელზე ყოველივე ის, რასაც ეხლა წაიკითხავ...

ძვირფასო მეგობარო, ყველაზე უფრო თქვენ ხართ ღირსი გაიგოთ ნამდვილი ამბავი ჩემი სიცოცხლისა... ამ ბარათს ვატან ჩემს მეგობარს, რომელიც დაუყონებლივ გადასცემს მას თქვენთან მოსატანად, ჩემი ცხოვრების, გაწამებულ თანამგზავრს — ამალიას... ეს უკანასკნელი ეცდება დროზე გადმოგცეთ ის... დილის სრულ ხუთ საათზე მივყევართ სახრჩობელაზე, სწორეთ ხუთ საათზე ჩემი საყვარელი ამალიაც მოვა თქვენთან... წინასწარ გთხოვთ ერთ რამეს... იმედი მაქვს ჩემს უკანასკნელ თხოვნას უარს არ ეტყვით და არ დაიშურებთ თქვენს ენერგიას... გთხოვთ კეთილო ადამიანო: ნუ მოაკლებთ თქვენს მზრუნველობას ამ ქალს, მიეცით მას ზნეობრივი ნუგეში და გაამხნევეთ იგი... ჩემზე ტირიან და გოდება ამაოა... ჩემთვის ეს დამცირება იქნება... მე მხოლოდ შევასრულე ჩემი კლასის, პროლეტარულ მასების ნება-სურვილი, მის ბრწყინვალე მომავლის მსხვერპლად შევსწირე ჩემი სიჭაბუკე, ენერგია და ენტუზიაზმით სავსე სიცოცხლე“...

წერილის კითხვის დროს ამალია სმენად გადაიქცა, ხოლო მეიჰერს კი თვალებიდან ცრემლი წყვილ-წყვილად გადმოუგორდა...

— ნუ, ნუ სტირით მეგობარო მეიჰერ... ხომ გესმით მარკოს ანდერძი: „შორს ცრემლი და გოდებაო“.. განაგრძეთ კითხვა...

მეიჰერმა გონება მოიკრიბა, ცრემლი მოიწმინდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, თავს ძალა დაატანა და განაგრძნო:

— „მე გიამბობ ჩემს თავგადასავალს... გიკვირთ განა, ჩემი ასეთი სურვილი, ისიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში?... ვის რაში ეპრიანება, ვიღაცა ზეინკალ მარკოს

წერილი ესტონეთიდან

ესტონეთში რემედასის მუშაობა მიმდინარეობს სრულიად არალეგალურ პირობებში — უმთავრესად ფაბრიკა-კარხნებში. უჯრედები აწარმოებენ სააგიტაციო მუშაობას და აგროვებენ საწევრო ანარიცხებს. წრეებში გაერთიანებულნი არიან მუშები, ხელოსნები და მოსწავლე ახალგაზრობა.

მიუხედავათ იმისა, რომ ქვეყნის მმართველობა სოციალ-დემოკრატიას უჭირავს, აქ მუშათა მემარცხენე ელემენტების წინააღმდეგ პოლიციელთა და სასამართლოების რეპრესიები არა თუ შენელდა პირიქით ის დღითი-დღე უფრო მწვავე ხასათს იღებს, განსაკუთრებით უკანასკნელი თვეების განმავლობაში. ყველა მემარცხენე ჟურნალ-გაზეთები დახურულია, გაძლიერებულია ჩხრეკა და დაპატიმრებები. დაპატიმრებულთა წინააღმდეგ შემოღებულია მკაცრი რეპრესიული ზომები. საპატიმროში გამეფებული მეტად მკაცრი რეჟიმისა და გამუდმებული პროვოკაციული მოქმედებათა გამო, რომლის სულის ჩამდგმელად გვევლინება თვით საპატიმროს ადმინისტრაცია, ხშირად ადგილი აქვს სიმშილობის გამოცხადებას. უკანასკნელად გამოცხადებული — თებერვლის სიმშილობამ რეველის საპყრობილეში ორი კვირა გასტანა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიმშილობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს, როგორც პოლიტიკურებმა, ისე სისხლის სამართლის დამნაშავეებმა გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწიეს. ამის შემდგ საპყრობილის ხელმძღვანელმა უფროსებმა სიმშილობის დროს შემოღებული უმნიშვნელო დათმობებიც უკან წაიღეს და პატიმრები, ისევ იმავე მდგომარეობაში დარჩენ რა მდგომარეობაშიაც ისინი იყვენ დაპატიმრების პირველ დღიდან. ამ სიმშილობას შედეგად მოჰყვა ამხ. კლიმენტის სიკვდილი. ეს უკანასკნელი იყო შეუპოვარი რევოლიუციონერი ქალი, რომელსაც ხელისუფლებამ 1922 წ. 8 წ. საკატორღო მუშაობა მიუსაჯა.

12 საპატიმრო სავსეა პოლიტიკურებით, — მათ შორის რეველში — 4, იურიევში — 3, პერნოვში—1, ვალკაში—1, — ნარვაში — 2. ეს მეფის რეაქციის მიერ დატოვებული საპატიმროები ეცოტავა „დემოკრატიულ" მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ესტონეთში მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება ერთ მილიონს. „დემოკრატიულმა" მთავრობამ ააგო ახალი, უკეთესი საპყრობილე ქ. ფელინეში. ყველა საპატიმროებში მოქცეულთა შორის დამყარებულია მჭიდრო კავშირი. მთელს ესტონეთში 297 პოლიტ-პატიმარია. მათი ოჯახის წევრები შეადგენენ 280 კაცს. ყველა ესენი ღებულობენ სათანადო დახმარებას. მოკლულთა, ან გარდაცვლილთა ობლებზე მზრუნველობა აღებულია შეფობის სახით. (შეფობა აქ შემოღებულია 7-8 წ. უკან). ყველა საპატიმროებში ჩამოყალიბებულია კომუნები, ზოგიერთ საპყრობილეში დაწესებულია თვითგანვითარების წრეები და სხვა.

ვ. დ.

თავგადასავალი... მართლაც და, რომელი გამოჩენილი მთავარსარდალი მე ვარ, ან ჩვენი დროის ბურჟუაზიის ერთგული ლაქია, მე ხომ მსოფლიო ბურჟუაზიის სმენის დამტკბობი იადონი — შალიაპინი არა ვარ... არც მუშათა კლასის სახელგანთქმული ჯალათი—ნოსკე ვარ, რომ ჩემს თავგადასავალს ყური მიუგდოს და მოუსმინოს ბურჟუაზიულმა მსოფლიომ... არა, მე არც ერთი ამათთაგანი არა ვარ, არც მსურს ეს...

ჩემო საყვარელო მეგობარო, მე ერთი უბირი, ღარიბი გლეხის შვილი ვარ, რომელიც უსახსრობამ, მემამულეთა ყვლეფამ და უსამართლობამ თავისი ბედის საძიებლად ქალაქად გადმოტყორცნა...

აკვანიდანვე ვსუნთქავ გაუმაძღარ კაპიტალის მიერ შექმნილ ვეებერთელა ღუმელებისა და მანქანების ჰაერით, მე შევეზარდე კაპიტალისტურ ქალაქის ტლანქ ხმაურს, გრგვინვა-ღრიალს, მე აქ მოვისმინე პირველად კლასობრივი ბრძოლის უძლიერესი ყიჟინა...

მე უბრალო ზეინკალი ვარ, პროლეტარულ მებრძოლ რიგებში მედგრად მდგომი უბრალო ჯარისკაცი... მაგრამ დაჰხედეთ ჩვენს მოსისხლე მტრებს, მე დიდ ვინმეთ მივაჩნივართ, ჩემს წინაშე ცახცახებენ... ბორკილებით ხელფეხ შეკრულს ათიოდე ხმალამოღებული ჟანდარმი თავზე მადგას... სასამართლოს წარჩინებულმა პროკურორმა ერისა და მამულის უსაშინელეს მტრად მომნათლა... აჯანყებული ქალაქებისა და სოფლების პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი მიწოდა და, როგორც ასეთის ჩემი სიკვდილით დასჯა მოითხოვა... ნუ იტყვით, ესეც არ იკმარეს და მსუნაგ ბურჟუაზიის ჟურნალ-გაზეთების ფურცლები ააჭრელეს ჩემი სურათებით, რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა: „ბ ა ნ დ ი ტ თ ა პ ო ე ზ ი დ ე ნ ტ ი"...

გასამართლების დროს, როგორც იცით ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრეს ყოვლად შემძლე დეფონზივას აგენტებმა... მსაჯულები ჩემს პროცესს თავიანთ გასართობ საქმედ სთვლიდენ... ბურჟუაზიულმა „მართლმსაჯულებამ" არაფრით არ დამინდო და ქუჩის უსაქმურ, ობივატელთა სალაყბო საგნად გამხადა...

(გაგრძელება იქნება)

ვ. ელდარელი.

მისალმება რემედასის ტფილისის კომიტეტის

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ მივიღეთ თქვენი მისალმება საბჭოთა კავშირის არსებობის მეთრთმეტე წლის თავზე. უდიდეს მადლობას გწერავთ ასეთი მხურვალე მისალმებისათვის.

ყოველგვარი მოძრაობა და ყოველივე ის, რაც საბჭოთა კავშირს ეხება ჩვენთვის მეტის-მეტად საინტერესოა.

სტამბის შენობა ბერლინში, სადაც იბეჭდებოდა გერმანიის კომპარტიის არალეგალური გაზეთი „როტე შტურმფანე" — ეს გაზეთი გამოდიოდა „როტე ფანეს" აკრძალვის შემდეგ.

გერმანელი მუშები გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ საბჭოთა კავშირის შინაურ და გარეშე პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას. განუწყვეტელი კვირის შემოღება, რომელსაც თქვენ ეხლა აპირობთ, ჩვნეში გაცხოველებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევს, როგორც ვიცით თქვენ აპირობთ განუწვეტლივ აამუშაოთ მანქანები, ორთქლის ქვაბები, ქარხნები და სხვა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ თქვენი ახალი ეკონომიური მიღწევების საშუალებით პირნათლად შეასრულებთ თქვენს მიერ დასახულ ხუთწლიან გეგმას.

გერმანიის წითელი დახმარება მხურვალედ გესამებათ, თქვენ. მიმდინარე წელს ჩვენ განზრახული გვაქვს ჩავატაროთ სპეციალური დღესასწაული წითელი დახმარების არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად. ჩვენ გვინდა ეს დღე ავღნიშნოთ ყრილობით და უდიდესი გამოფენის მოწყობით. გერმანეთის წითელ დახმარებამ თავის არსებობის ოთხი წლის განმავლობაში პოლიტ-პატიმრობის და მათი ოჯახის წევრებს მატერიალური დახმარება აღმოუჩინა 4½ მილიონი მარკის რაოდენობით.

გერმანიის წითელი დახმარების რიგებში ამჟამად ირიცხება 189336 ინდივიდუალური წევრი. უმრავლესობას პროლეტარული ელემენტები წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთი უმნიშვნელო ხლფასიდან მცირედ წვლილს სწირავენ პოლიტ-პატიმრების ოჯახების წევრთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ჩვენი ორგანიზაციის მტრები ცდილობენ ჩაფუშონ ჩვენი მუშაობა.

პოლიცია და იუსტიცია შლის ჩვენს ორგანიზაციებს, აპატიმრებს მის აქტიურ წევრებს და კონფისკაციას უკეთებს სალაროში თავმოყრილ ფულს. მიუხედავათ ჩვენი მოწინააღმდეგეების — განსაკუთრებით სოციალდემოკრატების თავგანწირული ბრძოლისა, რათა ჩაშალონ ჩვენი ნაყოფიერი მუშაობა, ორგანიზაცია დაუღალავ მუშაობას განაგრძობს.

წითელი დახმარების წევრები ცდილობენ ერთი-ორად გააძლიერონ თავიანთი რიგები, რათა უფრო მეტი დახმარება აღმოუჩინონ პოლიტ-პატიმრებს. ჩვენ გვჯერა და გვწამს საერთაშორისო პროლეტარული რესპუბლიკის შექმნა და ვიცით, რომ კლასობრივი ბრძოლის, სანიტარული რაზმის, წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს მუშაობა, არის ჩვენი საბოლოო გამარჯვების უტყუარი საწინდარი.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას.

„წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა"

ჩ ი ნ ე ლ ხ უ ნ ხ უ ზ ე ბ ს

შესდექ მტარვალო, ნუ იწევ წინა,
კვლავ ნუ აისხი ფარი და ხმალი.
შენს ბოროტებას დღე და ღამ ფხიზლათ
შესცქერის ჩვენი მახვილი თვალი.

არავის მივსცემთ ჩვენ იმის ნებას,
რომ ეს ქვეყანა გააჩანაგოს.
სისხლით და ოფლით მოპოებული,
თავისუფლება მახვილზე აგოს.

ჩვენ ისევ ვსდგევართ მხნე მეომრები,
ჩვენ აღარ ვიცით რა არის ჭმუნვა.

როგორც რკინის და ფოლადის ზოდის
ისე ძნელია ჩვენი მოღუნვა.

ჩვენ დღეს ვაშენებთ ახალ ქვეყანას,
ახალ სიცოცხლეს ნაზიარები.
ეხლა ჩვენს მკერდზე მორჩენილია,
ძველი ჭრილობა და იარები.

მაშ რას დააკლებს ჩვენს რიგებს ძლიერს,
ავგულთ თარეში, ბრბოების ხროვა.
შურისძიების უნდობი ცეცხლი,
იქაც იფეთქებს, თქვენთანაც მოვა.

ვ. ერდელი.

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი

(დასასრული)

ოცოდე კილომეტრი ფეხით. გავიარე, მეზელაბორცას მახლობლად მე ღამე გავათიე ვიღაც ხუცესის საჯინიბეში. განთიადისას კი, გაეუდექი გზას ყოველგვარი მიზნებისა და დანიშნულების გარეშე. გადაბრუნებულ სამხედრო ფურგუნები, რომლებიც ეყარნენ თხრილებში, დახოცილი ცხენები და ვენგრიელ და რუს ჯარის-კაცების გვამები მოწმობდნენ იმას, რომ რამდენიმე დღის წინათ ამ მიდამოში ადგილი ჰქონდა თავგანწირულ ბრძოლას მოწინააღმდეგეთა შორის. უდაბურ ტყეში, სადაც მე მივდიოდი ირგვლივ არაფერი ისმოდა; თოფის ხმა ჩემამდე ვერ აღწევდა. ნახევარ დღის სავალზე. ხუცესის საჯინიბედან, მე წავაწყდი ტყეში მშვენიერ გზას, რომელმაც მიმიყვანა მონადირის ისეთ მშვენიერ კოშკამდე, რომელსაც ადამიანი იშვიათად შეხვდება ხოლმე. კოშკს გარს ევლო მაღალი, რკინის დახარიხებული გალავანი, როგორც ეტყობა ჯარისკაცები არ იცქირებოდენ აქ, ალბად იმიტომ, რომ არ მოსჩანდა არც მოკლული ცხენები, არც ცარიელი ვაზნები და არც კონსერვის თუნუქის ყუთები. კოშკის ალაყაფის კართან მოხუცი კაცი ყალიონით თუთუნს ეწეოდა და ჯარისკაცს ესაუბრებოდა მეგობრული სახის გამომეტყველობით; როცა მოსაუბრეებს მივუახლოვდი სახტათ დავრჩი, ახალგაზრდა კაცი რომელსაც აშვენებდა სამხედრო ტანისამოსი აღმოჩნდა ჩემი მეგობარი ი შ ტ ვ ა ნ ტ ა რ ი ა ნ.

ჩვენმა შეხედვამ ჟრიამული გამოიწვია, ფიშტოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, გადამეხვია და დაუსრულებლად მკოცნა, შემდეგ მოხუცმა და ფიშტომ კოშკში შემიპატიჟეს. მისვლის თანავე ჩემმა მეგობარმა გადმომცა, რომ ის ამ მოხუცს კაცთან ერთი თვეზე მეტია რაც ცხოვრობს, მან ისიც კი მითხრა რომ აქედან წასვლას არ ფიქრობს, ვინაიდან სროლის ხმა აქამდე თითქმის არ აღწევს, ამავე დროს მან დასძინა, რომ საჭმელ-სასმელით ის სრულიად უზრუნველყოფილია და კოცნის დროს არ იკბინება მოხუცი მასპინძლის ქალიშვილიო. მან გადმომცა, რომ ის იყო პეშტში, მაგრამ გაიგო რა, რომ იქ ხელისუფლების წარმომადგენლები ნადირობენ გაქცეულ ჯარისკაცებზე, საჩქაროთ დასტოვა იქაურობა და აქეთკენ გამოემართა. ის ხომ ძაღლი არ არის, რომ მას ქუჩაში დასდევენ დასაჭერად ჟანდარმები. აქ კი ადამიანებს არ ეძებენ რადგანაც ისინი ჭარბათ არიან და არც კი იციან რა უყონ მათ. ის ნადირობდა აქ, დიდი ხნით იძინებდა და უცდიდა ამრიგად მოხერხებულ დროს. ფიშტოს მოწმობაზე ისეთი განიერი ბეჭედი ჰქონდა დარტყმული, რომ მის დანახვაზე კაცი სამხედრო სალამს მისცემდა. ნიშნათ გმირობისა გულზე ეკიდა ერთი ვერცხლის ნიშანი, ერთი სიტყვით ფიშტო ყოველ მხრით მოწყობილი იყო. მე შევსჩივლე მეგობარს ჩემი უბედურება. ცხადია ის თანაგრძნობით მოეპყრა ჩემს მდგომარეობას, მაგრამ შენიშვნა მაინც მომცა.

— მე ხომ გეუბნებოდი, როცა ჩვენ ვიყავით რავიროუსკაიასთან, გახსოვს, მე გითხარი წავიდეთ აქედან, მოვშორდეთ აქაურობას, იმიტომ, რომ ცუდია თავის შეყოფა იქ, სადაც ერთიმეორეს გლეჯენ სხვისი ძაღლები მეთქი. მე გითხარი აგრეთვე, თუ გახსოვს, რომ ეს არ არის ჩვენი პოლკი მეთქი, შენ კი მარწმუნებდი. ხედავ, მას შემდეგ მე სულ დავეძებ ჩემს პოლკს, — დაატანა ჩემმა მეგობარმა, დამცინავად გადმომხედა და თვალები შეახამხამა. დარწმუნებული იყავით ჩემო მეგობარო, რომ ზავის გამოცხადებამდე მე მას ვერსად ვერ ვიპოვი. რა ეშმაკი გვინდა ჩვენ აქ, ხომ გახსოვს ფელეხაზეში, რომ ორი ახმახი დამეცა. კმარა მორჩა. მე ხომ მაშინ დავკარგე რამდენიმე კბილი. კმარა ჩემგან. ეშმაკმაც ნუ იცის მათი თავი და ფეხები, ჩემი რა საქმეა, მე რა მეომება. ჩვენმა უფროსებმა შეიძლება ხვალ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადონ უქმად მოსეირნე ქალიშვილებსაც კი, მაშინ მე ორივე ყბები უნდა მიუშვირო ბულგარელებს? ბოლოს და ბოლოს რეგვენი ხომ არა ვარ... მე უკვე გითხარი რომ ზავი გამოვაცხადე და აი, როგორც ხედავ, ვიმყოფები ჩემთვის მშვიდათ. დარჩი აქ ძვირფასო ძმობილო, ჩქარა დარწმუნდები, თუ რამდენათ კარგია და საამო აქ ყოფნა.

— მდევრები რომ დაგვესხან?

— ისინი მხოლოდ რეგვენებს თუ დააპატიმრებენ თორემ ისეთებს ვერაფერს დააკლებენ, როგორიც ჩვენა ვართ. მე მოგცემ შენ ქალალდს შესახებ იმისა, რომ შენ ირიცხები მე-17-ე პოლკში, და ამა და ამ რიცხვიდან გამოგაყოლეს გომონში გადაგზავნილ სამხედრო ტყვეებს მხებლად. შენი ბრალი ხომ არ არის, რომ ვერ მიაგნო საკუთარ პოლკს, მაგრამ ფრთხილად იყავი სადმე შემთხვევით არ წააწყდე მას, თორემ ისევ ომში ამოყოფ თავს.

— კარგი, მაგრამ მოწმობისათვის ბეჭედი საიდან მოვიტანო.

ფაშისტების მიერ გასროლილი ბომბა გერმანიის რეიხსტაგის სახლის კედელზე. გამგლელები ათვალიერებენ კედელს.

— ეგ ჩემი საქმეა, მე ხომ მენდობი ჩემო ძმაო. ნახევარ კილო თუთუნში ეფრეიტორს გამოვართვი ბეჭედი, რომლითაც იმდენი ქაღალდის დამზადება შეიძლება, რომ პურის ტომარაშიაც ველარ ჩაატიო.

— ამრიგად მე დავრჩი ფიშტო ტარიანთან. ვცხოვრობდი მასთან უდარდელად და უზრუნველად. ვჭამდი, ვსვამდი, დავსეირნობდი ტყეში, შემდეგ მეძინა საბძელში და ისევ ვხვრინავდი, რომ ყოველი ამოსუნთქვის დროს ზანზარი გაჰქონდა სარკმელს. მიუხედავად ამისა სამიოდე კვირის განმავლობაში მომეწყინა. არ იყო გაზეთი, ცნობა, არ იყო არც მორიგეობა სამზარეულოში. ასე გაშინჯეთ ძილიც კი წარმოუდგენელი იყო. თავის გასართობათ ფიშტოს ველარც მოხუცი მასპინძლის ქალი წავართვი, თუმცა მეგობარი არ გამიჯავრდებოდა ამისათვის, ვინაიდან იმ ქალს თავისი სიქალწულე დიდი ხნით ადრე დაეკარგა. ამრიგად ერთ მშვენიერ, მზის ცხოველი სხივით ანთებულ დილით მე მოვემზადე, რათა დავმშვიდებოდი მეგობარს.

— აბა ჩემო მეგობარო, — ვეუბნები მე,—მადლობას მოგახსენებ შეფარებისათვის, კმაყოფილი ვარ პატივისცემით. მაგრამ მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, უნდა გავშორდე აქაურობას.

— რას მიქარავ, როგორ თუ არ შეგიძლიან! — მომვარდა გაანჩხლებული ჩემი მეგობარი.

— მეტი აღარ შემიძლია. ნუ მიწყენ, ნუ გამკიცხავ... მადლობა გულკეთილი მიღებისათვის ძვირფასო მეგობარო და საყვარელო ამხანაგო, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, რომ ლამის გამოვყეყეჩდე, შენი გულუხვობისაგან მოთმინების ფიალა ამევსო. მეტი ძალა არა მაქვს ფიშტო.

— სხვაგან უკეთესი იქნება. მე ვატყობ რბილი ადგილი არ გეტევა სკამზე; რა გაეწყობა, ამ საქმეში უთუოდ გაგიწევს დახმარებას სისხლის მსმელი ჯალათი ბოდი.

როცა ფიშტო საბოლოდ დარწმუნდა, რომ მე გადაწყვეტილი მქონდა წასვლა, აიღო ერთი მოზრდილი ტომარა, გაავსო ის სურსათ-სანოვაგით, სახელდახელოთ მოწმობაც დამიმზადა და გზამდე მიმაცილა.

— რაო, მეგობარო ისევ ომში წახვალ?—შემეკითხა ფიშტო.

— საეჭვოა ჩემო ფიშტო. მე წავალ პეშტში, დარწმუნებული ვარ იქ არ ომობენ, რუსებსა და სერბიელებს კი ჩემს სიცოცხლეში ხმას არ გავსცემ. ამ უკანასკნელებს შეებრძოლოს ის ვისაც მათთან პირადი ანგარიშები აქვს გამოსასწორებელი. მე უკვე გამოვაცხადე ზავი და ყველასთან მინდა დავამყარო მეგობრული ურთიერთობა.

თვე-ნახევრის განმავლობაში უნგრეთში არსებობდა პროლეტარული დიქტატურა, ჩვენი ნაწილი მოქმედებდა სადაც შაიო-სენტ-პეტერის მახლობლად. იყო საშინელი ბნელი ღამე და ჩვენ განვიზრახეთ ამ სიბნელის გამოყენება, რათა რაიმე ზიანი და უსიამოვნება მიგვეყენებინა ჩეხელებისათვის. ჩვენი ამხანაგები ძალიან ფრთხილად მიიწევდენ წინ; ყოველი მათგანი მკერდში მაგრად იხუტებდა პურით სავსე ტომარს და ხიშტს. ჩვენმა ნაწილმა თითქმის მიაღწია ჩეხელთა მოწინავე ხაზს. უეცრად ერთ-ერთი ჩამორჩენილი არმიელი, რომელიც ცდილობდა დაწოდა თავის ამხანაგს ფეხით, დაეჯახა გადაჭრილ ხის კუნძს და ისე ძლიერად დაეცა, რომ ხმაურობაზე არა მარტო მძინარე ჩეხელები, მკვდარიც კი გამოფხიზლდებოდა.

ჩეხელთა მოწინავე რაზმებმა განგაში მორთეს, რამაც გამოიწვია სროლა მთელ ხაზზე. — რა უნდა გვექნა ჩვენ? ხიდზე უნდა მივსულიყავით, სხვა რა გზა იყო. ჩეხელები ჩქარა გაიქცენ, მიუხედავათ ამისა ზიანი მაინც მოგვაყენეს. ჩვენ შორის აღმოჩნდა ოთხი მკვდარი და ათიოდე დაჭრილი. ჩვენები დაედევნენ ჩეხელებს და გზა-და-გზა ხოცავდნენ მათ. მე არ მომეწონა ეს უაზრო დევნა და გზის პირად მდგომ, გლეხის ქოხს შევეფარე მახლობლად იდგა სკოლა, სადაც მოიყვანეს დაჭრილ-დახოცილები, ის იყო უნდა დამესვენა და მივწოლილიყავი, რომ უეცრად ჩემთან მოვიდა სანიტარი. თან მოიტანა ნაგლეჯი ქაღალდი.... რომელზედაც მსხვილი და დაგრეხილი ასოებით დაახლოებით შემდეგი ეწერა:

— „ამხანაგო უფროსო, 1/19, მესამე როტის უფროსი ი შ ტ ვ ა ნ ტ ა რ ი ა ნ სთხოვს ამხანაგ უფროსს, რათა უკანასკნელმა ნება დართოს მას მწკრივში დარჩენისა. ჩემი ჭრილობა ამ დღეებში მორჩება და ამიტომ ვფიქრობ არავითარი აზრი არა აქვს წინ და უკან იმ კაცის ტარებას, რომელსაც მსუბუქი ჭრილობა აქვს მიყენებული ფეხზე და რომელსაც ჰოსპიტალში არა ექნება რა გასაკეთებელი.

პატივისცემით როტის უფროსი:

ი შ ტ ვ ა ნ ტ ა რ ი ა ნ.

„პ ო ს ტ ს კ რ ი პ ტ უ მ: მე — იშტვან-ტარიან ფელელხაზელი ვარ. ამავე დროს უფროსის ახლობელი მეგობარიც“.

ფიშტო იჯდა სკამზე, მას ქვედა საცვლის ყოშები ბარძახებამდის აეკარწახებინა. მუხლზე შემოხვეული ჰქონდა სუფთა და თოვლივით თეთრი ბინტი, ჩემს დანახვაზე ის სასწრაფოთ წამოდგა და კოჭლობით მომიახლოვდა თან ნელი-ნელ მომიყვა მთელი თავისი თავ-გადასავალი. თანახმად მისი განცხადებისა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით ერთიმეორეს ის წავიდა სხვა ადგილას, ახალი ბედნიერების საპოვნელად და ამ შემთხვევაშიაც განაგრძობდა ყველასთან „მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ“ განწყობილებაში დარჩენას. სამართლიანად რომ ვსთქვათ საქმე იმაში იყო, რომ მოხუცი მონადირის ქალიშვილს ალბად მისთვის საზრდო შემოაკლდა.

— იცი ძმობილო, — მეუბნება ის, — მე განუწყვეტლივ პოლკის ირგვლივ დავდიოდი... სულ მას ვუტრიალებდი... მე მხვდებოდენ ყმაწვილები პოლკიდან, რომლებიც ისევ უკანვე მეპატიჟებოდენ... მე თანხმობა გამოვუცხადე მათ... გესმის თუ არა, დავეთანხმე... თექვსმეტ წელს მე გავემგზავრე იტალიის ფრონტზე. — კარპატებში ძალიან მომბეზრდა, მაგრამ არც იქ მომეწონა.

ნუ შეგეშინდება ჩემო მეგობარო, მე მართლა ნამდვილ ფრონტზე კი არა ვყოფილვარ არამედ დაჭრილთა მოსავლელ პუნქტზე ვიყავი.

უუ, რა საშინელება იყო იქ. მთელს მიდამოში განუწყვეტელი სროლა სწარმოებდა. ჰაეროპლანები, მოტორიანი ზარბაზნები და სხვა, ერთი სიტყვით ყველაფერი ცუდი, ავი და მოსაბეზრებელი. და აი, როგორც ხედავ მე ისევ რუსებისაკენ წამოვედი. მეჩვიდმეტე წელს კი ხალხმა სროლა შესწყვიტა. ჩემო მეგობარო, სროლა უკვე აღარავის უნდოდა. ჰმ, ვფიქრობ ჩემთვის, აი ეხლა დრო არის ვემზადებოდე ომისათვის და გავემგზავრე კიდეც ფრონტისაკენ. მოგეხსენება რომ ცუდათ ყოფნა მეტის მეტად მოსაბეზრებელი რამ, არის: დღისით მეძინა, ღამღამობით კი რუსებზე ვყიდდი რომს. იცი, ნახევაარ ვედრო რომ'ი. ეძლეოდენ ნახევარ ძროხას, ხან კი მთელ ხარს. მე ვცხოვრობდი, ჩემო მეგობარო, ისე კარგათ, რომ ქრისტეს კალთის ქვეშ ვგრძნობდი თავს. რუს ამხანაგებთან ჩვენ უკრავდით გარმოშკას და ვცეკვავდით, მანამ ვიდრე არ დავიქანცებოდით და პერანგის შემდეგები არ ჩაგვცვრებოდა. ძალიან საწყენი იყო ის გარემოება, რომ მშვიდობიანობა დამკვიდრდა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი ეს მითხარი, როგორ მოხვდი წითელ ჯარში? შენ ხომ არავინ გაიძულებდა გემსახურა, მითხარი რა ეშმაკისთვის მსახურობ.

— რატომ მოვედი მე წითელ ჯარში? — კითხულობს განცვიფრებული ფიშტო — რავა, შენ მარტო ერთს გეკუთვნის სამსახური, თუ რაშია საქმე?

— ძვირფასო მეგობარო, მე ეს ძალიან კარგათ მესმის, მაგრამ შენ გიცნობ, როგორც ხელოსანს და მშვიდობის მოყვარულს ადამიანს, ამიტომ გავბედე და გკითხე.

— ეს ჩემო მეგობარო, აქ კი არა იქ იყო, აი იქ შორს... აქ — სულ სხვა საქმეა.

მიუხედავათ ფეხზე ჭრილობისა ფიშტო დიდხანს დარჩა რიგებში და მე მის შესახებ კარგა ხანს არაფერი შემიტყვია.

როცა საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმებით სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა წითელ არმიელთა პოლკების ჩამოშორება ჩეხელთა ფრონტიდან, — ზოგერთებმა არ მოისურვეს უკან დახევა და ზოგ ადგილებში საჭირო შეიქნა შეიარაღებული ძალა მათი წამოსაყვანათ. ერთ-ერთ ასეთ ნაწილში მე კვლავ შევხვდი იშტვან-ტარიანს. — ამ დროს ჩემი მეგობარი უკვე ბათალიონის უფროსი იყო და მტკიცეთ გადასწყვიტა კიდეც არ დაეხია უკან. მე მსურდა ჩქარა ბოლო მომეღო ამ საქმისათვის და ვფიქრობდი უთანხმოება გადამეჭრა ბრძანების საშუალებით, მაგრამ რა სისულელეა... რომელი სულელი დაეთანხმება ასეთ შემთხვევაში ბრძანებას. ფიშტო ყველაზე უფრო ხმამაღლა ღრიალებდა:

— გაგვყიდეს... გაგვყიდეს ვიგინდარებმა. ჩეხელებს მიყიდეს დიქტატურა.

ძლივს მოვახერხე მეგობრის დახსნა ბრბოსაგან, მე გავიყვანე ის განზე და შევეცადე დამერწმუნებია, რომ მე არ ვაჭრობ დიქტატურით, რომ ამა და ამ მოსაზრებით, როსებმა ბრძანება გასცეს დაიხიეთო, ალბად ეს აუცილელია, მაგრამ ფიშტომ მაინც ვერა გაიგო რა ჩემი სიტყვებიდან.

— კლასობრივ ბრძოლებში დახევა არ შეიძლება არა და არა... ეს ყოვლად წარმოუდგენელია.

— როგორ თუ „ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა“ ფიშტო? შენ ხომ ხედავ, რომ სინამდვილეში მას ადგილი აქვს. ნუ სულელობ, ჩემო ძმაო, კიდევ ხიფათს არ გადაეყარო. უფროსებმა ბრძანება გასცეს დაიხიეთო, ალბად ეს აუცილებელია, უნდა დაემორჩილო მას და მეტი არაფერი.

ფიშტოს არც კი უფიქრია დახევის შესახებ, ის გააფთრებული მომვარდა მე... რომ ჩვენ არ ვყოფილიყავით დიდი ხნის მეგობრები მე იქიდან ცოცხალს არ გამომიშვებდა ასეთი გაიძვერული საქციელის გამო.

— მომწყდი თავიდან, ჩემო ძმაო, ეშმაკმა წაგიღოს, მოშორდი ვიდრე ცოცხალი ხარ. თუ შენ არ გესმის რას ჩადიხარ, მე ძალიან კარგათ მესმის ჩემი საქციელის მიზანი და ვხედავ კიდეც მის შედეგებს. უთხარი შენს უფროსს რომ ბათალიონის უფროსი იშტვანი დღეს ღამით გადადის შეტევაზე. ჩემთვის სულერთია, სრულიადაც არ ვფიქრობ იმაზე, მოეწონებათ თუ არა შტაბში ჩემი საქციელი.

— ჩემთვის დღემდის გაუგებარია თუ, როგორ მოახერხა სამხედრო კომისარმა ს ა რ ა ი-ს ა ბ ო მ მოეხსნა მაშინ ფრონტიდან ფიშტოს ხალხი...

დიქტატურის დამხობის ორი დღით ადრე ფიშტო მძიმედ დაიჭრა სადღაც რაკამაზას მახლობლად და დიდხანს მძიმე ავადმყოფი იწვა ის ბუდაპეშტის წმინდა იშტვანის ჰოსპიტალში.

. . . . . .

. . . . . .

სამიოდე წლის უკან, ჩემმა აწ უკვე გარდაცვლილმა დედამ მომწერა წერილი, სადაც ის მატყობინებდა იმის შესახებ, რომ ფიშტო სადღაც დურგლობს სემიგრადის მახლობლად, რკინის გზის სადურგლოშიო. ფიშტოს დაევალებია დედაჩემისთვის, რათა შეეტყობინებია ჩემთვის ის ამბავი, რომ ფიშტო დღესაც განაგძობს თავის პოლკის ძებნას, მაგრამ შიშობს, რომ მას ვერ იპოვის მოსკოვის მახლობლად...

.. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ძველი მეგობარი თავის პოლკს იპოვის, მაგრამ არა თეთრ-უნგრეთში. იქ ფიშტო ეჭვს გარეშეა ვერ იპოვის მას... ვერც თავისი პოლკი იპოვის ფიშტოს, — ესეც ნათელია... სულ სხვაა — საბჭოთა ს. ს. რ. კ.... მოსკოვი... აქ სულ სხვა საქმეა... სულ სხვა...

ფ. ‘კარიკაში.

ჩვენი კომენტარები

დროა ასეთებს ბოლო მოეღოს

ყველასათვის გასაგები უნდა იყოს ის გარემოება, რომ თუ რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კერძოთ კი რემედასი ატარებს რაიმე სპეციალურ კამპანიას ამაში მას ხელი უნდა შეუწყონ ყველა სხვა დანარჩენმა ორგანიზაციებმა. რემედასის მიერ ჩატარებულ კამპანიებს ყოველთვის უდიდესი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მიზნები აქვს და ამავე დროს ის ამ კამპანიების საშუალებით აძლიერებს უცხოეთის საპყრობილეში მოქცეულ პოლიტ-პატიმართა მატერიალურად დახმარების საქმეს. ამ კამპანიების ჩატარებამ, რომ თავის დანნიშნულებას მიაღწიოს, ამისათვის საჭიროა ყველა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები მხარში ამოუდგენ რემედასს.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ ამ კამპანიების ჩატარების საქმეს სასტიკად ამახინჯებენ ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ თემებში. მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგ გარემოებას, სახელდობრ: მიმდინარე წლის სექტემბრის 5 — 8-დე რემედასის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი მაზრაში ატარებდა რემედასის სამდღიურს, რომელიც წინასწარ შეთანხმებული იყო მაზრის ხელისუფლე.-თან. აღნიშნული კამპანია ტარდებოდა პირველ მაისს გერმანიაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, რათა შესაფერისი მატერიალური დახმარება აღმოგვეჩინა გერმანიის მუშათა კლასისათვის, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო ამ დღეს.

ზოგიერთმა, თემის ხელმძღვანელებმა ამ კამპანიის მნიშვნელობა სწორად ვერ გაიგეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ თემის მასშტაბით რემედასის სამდღიური სხვა მიზნებისათვისაც გამოიყენა, რასაც შეურიგდენ რემედასის სათემო კომიტეტებიც.

სამდღიურის განმავლობაში რემედასს უნდა გამოეჩინა მშრომელ მასაში თავისი ნამდვილი სახე. ნაცვლად ამისა ჩვენ მოწმენი გავხდით სულ სხვა გარემოებისა, სახელდობრ: კამპანიის ჩატარების დროს თავდაცვა-ავიქიმის ორგანიზაციამ, ადგილობრივმა კლუბმა, დრამწრემ და ქოხსამკითხველომ გამოიყენეს რემედასის სამდღიური ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ადგილობრივი ხელისუფლება, პირიქით ის შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა მათ ერთიმეორეში გათქვეფას, რამაც ხელი შეუწყო რემედასის სახის წაშლას ამ სამდღიურის ჩატარების დროს.

ზუგდიდის მაზრის ბევრს თემებში აქვს ადგილი მსგავს მოვლენებს, ამ მხრივ პირველობა დარჩელის თემს უნდა მივაკუთვნოთ. აქ 1928 წ. ჩატარებულ სამდღიურის განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რემედასის მუშაობას, რაც უნდა აიხსნას ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგების სრული უვიცობით და რემედასის უდიდესი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობით. დარჩელის თემში მომუშავე ამხანაგებმა უნდა გაიგონ ერთხელ და სამუდამოთ, რომ რემედასის სამდღიურისა და საერთოდ კამპანიების რომელიმე სხვა საზოზოგადოებრივი ორგანიზაციების კამპანიებთან შერევა დაუშვებელია. დროა აგრეთვე საქართველოში რემედასის არსებობის მეშვიდე წლის მიჯნაზე მაინც დარწმუნდენ დარჩელელი ამხანაგები, რომ რემედასი არის უპარტიო, მაგრამ უაღრესად რევოლიუციონური ორგანიზაცია და, როგორც ასეთს მის კამპანიებს განსაკუთრებული სახე უნდა ჰქონდეს.

დე, გაიგოს ვისაც ყური სმენად აქვს, ვინც მოწოდებულია მუშათა და გლეხთა ინტერესების დასაცავად, რომ რემედასი არის საერთაშორისო ოქტომბრის წითელი ზურგი და მისდამი უყურადღებობა არც ერთ პასუხისმგებელ მუშაკებს და ორგანოებს არ ეპატიება. დღეს რემედასის მნიშვნელობა ერთი-ორად გაიზარდა და ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მშრომელთა უფრო მეტი პროცენტები დავრაზმოთ მის რიგებში.

უნდა ვეცადოთ ერთხელ და სამუდამოთ გამოვასწოროთ შემჩნეული ნაკლი და სწორი გზით გავსწიოთ წინ. ყოველმხრივად ხელი შევუწყოთ რემედასს — აი, რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

მოწმე.

რ ე მ ე დ ა ს ი ს მ უ შ ა ო ბ ა

(აფხაზეთი)

რემედასის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი აერთიანებს ქ სოხუმს და 5 მაზრას, სახელდობრ: სოხუმს, გაგრას, გუდაუთას, ოჩამჩირესა და გალს.

აფხაზეთი საერთოდ გლეხური ქვეყანაა, აქ უფრო განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც ეწევა გლეხობა. ოლქის მოსახლეობა შესდგება მრავალ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან. როგორც საქართველოში შემავალ სხვა რესპუბლიკებში, ისე აფხაზეთშიაც სრული ექვსი წელია, რაც ჩამოყალიბდა რემედასის ორგანიზაცია.

ზოგ ადგილებში შემჩნეული მუშაობის სისუსტე უსათუოდ უნდა მიეწეროს საოლქო კომიტეტის ცუდ ხელმძღვანელობას, რის გამოსასწორებლათ მიღებულია სათანადო ზომები. ამაში ნაწილობრივად დანაშაული მიუძღვით აგრეთვე რემედასის ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებსაც, რომლებიც მთელი თვეობით არ იწვევდენ თურმე კომიტეტის კრებებს. მაზრასა და რაიონებში კომიტეტიდან დაწყებული უჯრედამდე არავინ იწუხებდა თავს და არ იჩენდენ რაიმე ინიციატივას მუშაობის ტემპის გამოსაცოცხლებლათ. კომიტეტებში დღემდე არაა ჩამოყალიბებული უფასო ინსტრუქტორთა კადრები, რომლებიც სისტემატიურად უნდა ხელმძღვანელობდენ უჯრედების მუშაობას. მუშაობას მეტის-მეტად აფერხებს კომიტეტების ცუდი შემადგენლობა, რომელსაც არა აქვს ხელმძღვანელობის უნარი. თუმცა ამაში ნაწილობრივად არ შეიძლება ბრალი დავდვათ მათ, ვინაიდან ისინი რემედასში მუშაობენ სრულიად უსასყიდლოთ, თავიანთი პირადი სამსახურის მოვალეობის არსრულიბასთან ერთად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ, ჩემს მიერ ჩატარებულ რევიზიის დროს მაზრის ზოგიერთ ადგილებში გაფლანგვაც კი აღმოჩნდა, რომელიც მაშინდელ ხელმძღვანელების მიერ არ ყოფილა აღმოჩენილი და აღკვეთილი. ადგილებზე სარევიზიო კომისიები კეთლსინდისიერად არ ექცევიან თავიან მოვალეობას. რაც შეეხება ქალაქს, აქ სათანადო მუშაობა მიმდინარეობს, კარგათ არის მოწესრიგებული კავშირი პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, ამავე დროს ჩაბმულია ახალგაზრდობის უდიდესი პროცენტი მუშაობაში და ორგანიზაცია-უჯრედებისადმი მიცემულია სათანადო დირექტივები მუშაობის ჩასატარებლად. ქალაქად კარგად არის დაყენებული სარევიზიო კომისიის მუშაობაც.

საოლქო პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულია სათანადო სამოქმედო გეგმა, რასაც ანხორციელებენ შემდეგი სექციები: საორგანიზაციო, სააგიტ.-საპროპგან., საფინანსო და საშეფო. ესენი იკრიბებიან ორკვირაში 1-ხელ და ჯამს უკეთებენ თავიანთ მუშაობას. პრეზიდიუმის მოწვევა ხდება თვეში ერთხელ. როგორც ვხედავთ ქალაქად, სადაც ასე, თუ ისე მოიპოვება საკმაო მომუშავე კადრი — მუშაობა გამოცოცხლებულია, მაგრამ ამ მხრივ მაზრები ძალიან ჩამორჩენილია და საჭიროა სასწრაფოდ იქნეს ზომები მიღებული ასეთის გამოსასწორებლად. როგორც აღვნიშნე საორგანიზაციო და საფინანსო მუშაობა კარგად არის დაყენებული, მაგრამ აღმზრდელობითი მუშაობა სრულიად არ სწარმოებს სოფლად. ეს კი მთავარია ჩვენი ორგანიზაციისათვის. ამის სათანადო დონეზე დაყენებას ხელს უშლის ეროვნებათა უმცირესობისათვის ლიტერატურის უქონლობაც.

რემედასის აფხაზეთის ორგანიზაცია აერთიანებს 202 უჯრედს 11 ათასი წევრით. გლეხობა ხალისით ებმება რემედასის მუშაობაში, ხოლო საჭიროა მათში ინტერნაციონალური ერთსულოვნების გაძლიერება, სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, რაც თავდებია საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის წითელი ზურგის გამაგრებისა და განმტკიცებს.

ალ. ბაძაღუა.

სად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული რემედასის უჯრედი

ჩვენ კარგად ვიცით, რომ რემედასი არ არის წმინდა კლასობრივი ორგანიზაცია, მაგრამ ის თავის ყოველდღიურ მოღვაწეობას უთანხმებს კომპარტიის მიმდინარე ამოცანებს, მის საგარეო პოლიტიკას საბჭოთა კავშირის დასაცავად, ამავე დროს რემედასი აწარმოებს ჯერ კიდევ გაუერთიანებელი და ჩამოუყალიბებელი მასების ერთი დროშის ქვეშ დარაზმვას, ამით კი ხელს უწყობს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის მტკიცე წითელი ზურგის შექმნას, რათა საჭიროების დროს სასიკვდლო ლახვარი ჩასცეს მუშათა კლასის ჯალათებს.

მაგრამ ეხლა საკითხავია ყველას ესმის, თუ არა ამ ორგანიზაციის მიზნები? სამწუხაროთ უნდა განვაცხადოთ, რომ — არა. ძალიან ხშირად სადმე მივარდნილ სოფელში თქვენ შეხვდებით რემედასის ორგანიზაციას, არიან მისი წევრებიც, რომლებიც იხდიან საწევრო ანარიცხებს, მაგრამ ამით თავდება სუყველაფერი და მათ არც კი იციან ჩვენ გვყავს, თუ არა უმაღლესი ორგანო. ამ წევრთა შორის სხვას, რომ თავი დავანებოთ, უბრალო ახსნა-განმარტებასაც არა აქვს ადგილი რემედასის მნიშვნელობაზე. ჩვენის ზრით ეს ხდება იმიტომ, რომ ძალიან ხშირად რემედასის უჯრედი ჩამოყალიბებულია, ან ახლად აყალიბებენ რომელიმე სხვა ორგანიზაციასთან და მის მუშაობას ხელმძღვანელობენ ისე, სხვათა შორის, როგორც მოსახერხებელი იქნება. ეს ყოვლად მიუტევებელი დანაშაულია; ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა ცეკასაგან მიღებული სათანადო მითითებები, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

აშკარად უნდა ითქვას აგრეთვე ისიც, რომ პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ რემედასის მუშაობას. ისინი, მიუხედვათ რემედასის საქართველოს ცეკას კატეგორიული მოთხოვნისა განგრძობენ სრულ უმოქმედობას.

უჯრედის უჯრედთან ჩამოყალიბებას და რემედასის წესდებისა და მითითებათა აშკარა დარღვევას ადგილი აქვს ქვალონის, პირველ ხორგის, ანაკლიის, ფახულანისა და სხვ. თემებში.

როგორც ვიცით, თანახმად რემედასის წესდებისა, რემედასის უჯრედი უნდა ჩამოყალიბდეს წარმოება-დაწესებულებებთან, ქოხ-სამკითხველოებში, კოოპერატივებში, სკოლებში, კლუბებთან, საბინაო ამხანაგობებთან, კოლმეურნეობასთან და სხვ.

ამას გვიკარნახებს ჩვენ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო ცეკა და ის პირნათლად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში.

დ. ხურცილავა.

შეჯიბრში გამოწვევა

მიმდინარე წლის სექტემბრის 25 რემედასის ქუთაისის რკინის გზის რაიკომში შესდგა კრება. დადგენილი იქნა რემედასის სამტრედიის რაიკომის შეჯიბრებაში გამოწვევა.

გამოწვევის პირობები შემდეგია: 1. რემედასის რიგებში მუშა-მოსამსახურეთა სრული 100% ჩაბმა. 2. უჯრედთა მუშაობის სწორი ხელმძღვანელობის გაწევა და წევრთა ინტერნაციონალურად აღზრდის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. 3. სამაზრო კომიტეტების წინაშე დავალიანების სრული ლიკვიდაცია. 4. ჟურნალ რემედასის გავრცელების გადიდება 50%. 5. დიასახლის ქალთა ჩაბმა რემედასის რიგებში. 6. კაპიტალის პატიმართა მატერიალური დახმარების გაძლიერება ნებათყოფლობითი შემოწირულებით.

ჩვენ იმედი გვაქვს დასახული ამოცანები პირნათლად იქნება შესრულებული ორივე მხარეების მიერ და შესამჩნევად წინ წასწევენ რემედასის საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ვ. ფარცვანია.

დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს

ხაბაროვსკი: კორეიელი ქალი ლი გამოცხადდა რემედასის საოლქო კომიტეტში და განაცხადა, რომ ის ჩინელი ხუნხუზების მიერ აღმ. ჩინეთის რკინის გზის დაპყრობის დროს დაზარელებულ საბჭოთა მოქალაქეების სასარგებლოთ სწირავს სახლს. აღნიშნული სახლი გაიყიდა 9700 მ. ეს ფული მთლიანად გადაიდო დაზარალებულ საბჭოთა მოქალაქეების სასარგებლოთ.

ამხ. პ. გვენეტაძის გამოწვევით სადგურ ქუთაისის რკინის გზის რემედასის სალაროში, კაპიტალის პატიმართა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი და ამავე მიზნიდ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. დიმიტრი კუხიანიძეს, 2. სარდიონ გამგონეიშვილს, 3. თომა ჭანიშვილს, 4. ისიდორე ბაბუნაშვილს. 5. სარდიონ გორდელაძეს, 6. ივანე უგლავას და 7. მიხა ხეცურიანს.

სამსონ კეპულაძე.

ამხ. პ. გვენეტაძის გამოწვევით კაპიტალის პატიმართა სასარგებლოთ რემედასის ქუთაისის რკინის გზის რაიკომის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. გრიშა ჯიბლაძეს, 2. ასლან ფირცხალავას, 3. სპირიდონ ტორაძეს, 4. ერასტო კვიმსაძეს, 5. გოგია ტყაბლაძეს, 6. დავით ლაკვეხელიანს და 7. თამარა ლორთქიფანიძეს.

მიხ. რიჟამაძე.

ამხ. მათე ლილუაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის რკინის გზის რემედასის სალაროში და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. ვლადიმერ კეთილაძეს, 2. ვასიკო ბალანჩივაძეს, 3. სამსონ მერკვილაძეს. 4. რაჟდენ გაგიევს, 5. ვანო უგრეხელიძეს, 6. დიომიდე პაიჭაძეს და 7. მოსე თედორაძეს.

სიმონ გურემიძე.

ამხ. გ. გელოვანის გამოწვევით ქუთასის რკინის გზის რემედასის რაიკომის სალაროში შემომაქვს **ერთი მანეთი** კაპიტალის პატიმართა დასახმარებლად და ამავე მიზნით ვიწვევ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს:

1. შალიკო კუპრაშვილს, 2. ვასიკო ბალანჩივაძეს, 3. დათიკო ნიკურაძეს, 4, ილარიონ აფხაიძის, 5. გოგია ტყაბლაძეს, 6. ვანო გოგავას, 7. იუსტინე მელქაძეს, 8. სიმონ ელიაშვილს, 9. პორფირე თადუმაძეს და 10 ლადო ობოლაძეს.

ნიკო ზაქარაშვილი.

მკითხველთა საყურადღებოთ!

რემედასის ტფილისის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ამ პირთ, რომლებმაც მიმდინარე ზაფხულის განმავლობაშ შეიძინეს ჟურ. „რემედას-"ის სპეციალურ (ქართულ რუსულ ენაზე) ნომრის ქვითარები (ლირ. 15 კაპ.) შეუძლიათ მიიღონ აღნიშნული ჟურნალი რემედასის საქ. ყველა სამაზრო, საოლქო დარაიონულ კომტეტებში.

რემედასის ტფილისის კომიტეტი.

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი. რედაქტორი: **შამშე ლეჟავა.**

ტფილისი, ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ. პლ. პრ., № 91. შეკვეთა № 1878. მთავარლიტი № 1336. ტირაჟი 4000.

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5. II-ე სართ. ელსმ. № 17—42

რემედასი

მიიღება ხელის მოწერა ყოველ თვის 1-ს

ყოველ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 თვეში

რემედასი

გამოვა

ხელის მოწ. პირობები:

1 თვით	20 კ.
3 თვით	60 „
6 თვით	1 მ. 15 „
9 თვით	1 „ 70 „
1 წლით	2 „ 20 „

12 ნომერი